საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 22-23 მარტი. 2021 წ. №59-60 (9178-9179) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ᲛᲬᲕᲐᲠᲔ ᲘᲣᲓᲘᲪᲘᲐᲡ

ᲙᲐᲪᲘᲐ-ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ?!

③

მთელმა დემოკრატიულმა მსოფლიომ ერთხმად და ერთაზროვნად აღიარა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები არ გაყალბებულა! ამიტომ კიდევ უფრო გაუგებარი ხდება ეგრეთ წოდებული ოპოზიციის ძალადობრივი მოთხოვნა „ქართული ოცნების“ მიმართ - თქვენ წადით, ჩვენ უნდა მოვიდეთო!.. არადა, ამ პოლიტიკურად გაკოტრებულ ძალას, აგრერიგად გათავხედებულს, გადასარჩენად ერთი გზაღა დარჩენია - შევიდეს პარლამენტში და იქ დაიცვას თავისი ამომრჩევლის ხმებიც და უფლებებიც!

ასეთია თვით ქართველი ხალხის ნებაც!..

ᲩᲐᲣᲚᲘᲚᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ, ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲯᲝᲮᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲭᲘ ᲒᲝᲒᲘᲐ

②

1819 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ



საქართველოს გაზეთი
მარტის 21 ღღეს ჩვეთ წელსა ტფილისსა.
No. 1.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲡ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მედიის წარმომადგენლებს ქართული ჟურნალისტიკის დღეს გვილოცავს.

„მინდა, ქართული ჟურნალისტიკის დღე მივულოცო ჩვენს ჟურნალისტებს, მედიის წარმომადგენლებს. უდიდესი პასუხისმგებლობაა, პრინციპებისა და ღირებულებების ერთგულებით, მაღალი პროფესიული სტანდარტის დაცვით ემსახურო შენს ხალხსა და ქვეყანას.

ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისთვის კი აუცილებელი წინაპირობა დამოუკიდებელი და თავისუფალი, პლურალისტური მედიაგარემოს არსებობაა, რასაც ჩვენი გუნდი — „ქართული ოცნება“ უდგას გარანტად. კიდევ ერთხელ ვულოცავ მთელს ჟურნალისტთა კორპუსს პროფესიულ დღეს და ვუსურვებ წარმატებებს მათ პროფესიულ საქმიანობაში“!..

„ᲙᲝᲚᲮ ᲛᲔᲓᲔᲐᲡ“ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲔᲜᲘᲤᲔᲑᲐ!..

⑤



ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲔᲗᲘᲠ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ - 95



„ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ“ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ, ᲢᲠᲐᲞᲖᲔ „ᲓᲐᲪᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ...

⑧

ᲐᲛᲐ - ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ - ᲓᲘᲓᲘᲡ ᲭᲐᲚᲔᲑᲘ ᲥᲠᲔᲑᲐ!

⑨

სახარება – მგლის თავზე!..

ჩაშლილი მოლაპარაკება, ხელიდან გაგდებული დირიჟორის ჯოხი და წითელი კოჭი გოგია

თითქმის მთელი კვირის მანძილზე ევროპის წარმომადგენლების თანდასწრებითა და წინამძღოლობით მიმდინარე მოლაპარაკება ოპოზიციურ პარტიებსა და ფაქტობრივად ხელისუფლებას შორის ჩაიშალა, ანუ უშედეგოდ დამთავრდა. ეზოპეს ენით თუ ვიტყვით, ხიდზე ერთმანეთს რქებით დაჯახებული თხები წყალში გადაცვივდნენ...

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მთელი ევროპა გვეხვეწებოდა, საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესები პირველ ადგილზე დააყენეთ და კომპრომისზე წადითო. მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭომ (ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბორელმა) საქვეყნოდ განაცხადა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივალდებულა კონსტრუქციული დიალოგი, პროგრესის მიღწევა და ჯერი ოპოზიციურ პარტიებზეაო.

ერთი სიტყვით, ცდა არ დაუკლიათ ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენლებს ბრიუსელსა და თბილისში, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, ანუ „იკითხე სახარება მგლის თავზე“.

ეს რომ სწორედ ასე მოხდებოდა, უკვე ორიოდ დღით ადრე გახდა საცნაური, როცა შალიკო ნათელაშვილმა „პროტესტის ნიშნად“ მოლაპარაკებათა დარბაზი დატოვა, რადგან იქ თურმე „პირველ საკითხად არ იხილებოდა ახალი საპარლამენტო არჩევნების თარიღი და პოლიტპატიმრების გათავისუფლება.“

ასე ჯიუტად იდგა ოპოზიცია თავის სიტყვაზე და მიუხედავად მკრთალი მოლოდინისა, რომ ის რაღაცას შეცვლიდა, ანუ რაღაც კომპრომისზე მაინც წავიდოდა თავის ხისტ, ათადან ბაბადან ცნობილ განაცხადში, ამაო გამოდგა.

მოლაპარაკების ერთ კვირაში მოწმენი გავხდით ოპოზიციის სახეცვლილებისა. თუ დასაწყისში იგი იმედებით იყო აღსავსე, რომ ევროპა ულაპარაკოდ მას დაუჭერდა მხარს, ყურებს მოუსრესდა ხელისუფლებას გაყალბებული არჩევნებისთვის, ციხეების პოლიტპატიმრებით გადავსებისთვის, ერთი სიტყვით, ხელისუფლების მიტაცებისთვის, ასე არ მოხდა.

თანდათან, იმის კვალობაზე, რომ ევროპამ (ეუთომ,ევროკავშირმა,ნატომაც კი) აღიარა 2020 წლის არჩევნების სამართლიანობა, წყალში ჩაიყარა ოპოზიციის მთელი მონდომება – ერთ მუშტად შეკვრა, ცდა, რომ მსოფლიო, რაც მთავარია, მთელი საქართველო დაერწმუნებინა, თითქოს „ოცნებამ“ ძალადურად მიიტაცა ხელისუფლება. შეხვედრის მეორე ნახევარში, უფრო კი დასასრულს, „მშვიდობიანი შეთანხმების“ იმედი თანდათან ჩაქრა, ხოლო თვით მოლაპარაკების პროცესი უფრო ხეშეში, ეკლიანი და... გამჭვირვალე გახდა (გაიხსენეთ თუნდაც შალიკო ნათელაშვილის მიერ მოლაპარაკების მიტოვების პრეცედენტი). ოპოზიცია, რომელმაც მატჩი წააგო, ახლა სახის შენარჩუნებას ცდილობს და კვლავ იმუქრება აქციებით, დედას გიტირებთო!

სხვათა შორის, შექმნილი ვითარება, ფინიშამდე ერთი დღით ადრე, საინტერესოდ, ოღონდ მისთვის არადამახასიათებელი მიუმხრობლობით, შეაფასა გია ხუხაშვილმა: „მთელმა ევროპამ თურმე სიტყვაზე უნდა დაუჯეროს ოპოზიციას, რომ არჩევნები გაყალბდა. მან ვერ შეძლო წონადი არგუმენტების წარმოდგენა. იგი ამაოდ ბრაზობს ჯოზეფ ბორელზე. რა უნდა ექნა იმ კაცს, როდესაც ერთი მხრიდან იდებოდა არგუმენტები, მათ შორის ევროპის წარმომადგენელთა დასკვნები, მეორე მხარე კი ეუბნებოდა, სიტყვაზე მენდე, ძმაო“.

სიტყვაზე არ ენდო, ვერც ენდობოდა. ის კაცი ევროსაბჭოს ერთ-ერთი ლიდერია, ლევან ხაბეიშვილი ან ბაჩუკი ქარდავა კი არა. სხვათა შორის, გირჩელმა ვახო მეგრელიშვილმა ერთი მეტად საყურადღებო ნიუანსი გაგვიმხილა ბატონი დანიელსონის თბილისური ცდილობიდან. მან პირველივე შეხვედრაზე გვითხრა, რასაც თქვენ აკეთებთ, ეს რუსულ ინტერესებშია,რომელიმე მხარე კი არა ხართ რუსეთის წარმომადგენელი, არამედ მთლიანად თქვენი საქციელია რუსულ ინტერესებში და ეს უნდა დამთავრდესო.

მაგრამ ოპოზიცია ჯიუტად მაინც დამღუპველ გზას ადგას. იმ გზას, რომელიც ხელიდან დირიჟორის ჯოხგავარდნილმა მიშამ განუსაზღვრა მას: ვინც ამბობს, რომ სააკაშვილი უნდა ჩამოშორდეს ძალაუფლებას და გავლენას, ამორალური და იდიოტიაო.

მათ მხოლოდ სააკაშვილისა სჯერათ, რომელიც ჯიუტად ებღაუჭება საჭის დაბრუნების ილუზიას, სამაგიეროდ, არ სჯერათ არც ევროპული და არც სამამულო ჭეშმარიტებისა.

ახლახან საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ნირშმა „უცნობის კიდობანში“ სტუმრობისას კიდევ ერთხელ შეგვახსენა ევროკავშირის პოზიცია: 2020 წლის არჩევნებში მონაწილე პარტიები პარლამენტში უნდა შევიდნენ; იქ ლაპარაკიც არ არის ახალ არჩევნებზე. რაც შეეხება პოლიტპატიმრებს, ჯერ მე არ მსმენია ევროკავშირის ოფიციალური განცხადება, სადაც მსგავსად ბელარუსისა, ვინმე აღიარებდეს საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას. არ შეიძლება პარტიები დასხდნენ და იმსჯელონ,ეს უნდა ჩავსვათ, ის უნდა გამოვუშვათო, არ შეიძლება პოლიტიკოსი პრივილეგირებული იყოს სამართებლივ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში.

ჰერ ქნირშმა ადრეც გვითხრა სიმართლე, მაგრამ ამ სიმართლისთვის ლამის ჯვარს აცვეს ჩვენმა „პოლიტიკოსებმა“. რა თქმა უნდა, არც ახლა ათხოვებენ ყურს.

გიგი უგულავამ ამპარტავნულად დატუქსა სიმართლის მთქმელი ბატონი ჯოზეფ ბორელი, ვინ ხარ, ჭკუას რომ გვასწავლიო, ჩვენ აქ შენი მოწაფები ხომ არ გგონივართო.

ოპოზიცია ხმაშეწყობილად ყიჟინებს, მოლაპარაკება იმიტომ ჩაიშალა, რომ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლება არ ეთმობა, მთელი ძალით ებღაუჭებაო. როგორია? თვითონ უწყვეტ ტალღად აწყდება ხელისუფლების ბასტიონს, „მშვიდობიანი“ რევოლუციით ცდილობს მის ჩამოგდებას და როგორ თუ თავს იცავსო, მსოფლიოს შესტირის.

ამასობაში ერთი ანგარიშგასაწევი ამბავიც მოხდა. უმელიოდ, ფაქტობრივად ულიდეროდ, სალომე სამადაშვილის იმედად შთენილ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ახალი თავკაცი მოევლინა: თვალებამოციებული, სახეგაყინული, ორთოდოქსი მიშისტი აკო მინაშვილი. როგორც ამბობენ, სწორედ მან ივარგა და ააყირავა მოლაპარაკების მაგიდა. ეს სწორედ მისი ჩანაფიქრით ალაპარაკდა ოპოზიცია, შესაძლებლობა საბოლოოდ არ არის დაკარგულიო, დიალოგი უნდა გაგრძელდეს,თანაც გზადაგზა რევოლუციური სადგის-მათრახის გამოყენებითო.

ნიკანორ მელიამ, თუ ჭკუა აქვს,უნდა დააჩქაროს თავისუფლებაზე გამოსვლა, თორემ შეიძლება აკუკიმ სულაც გამოაცალოს ხელიდან პარტია, როგორც თავის დროზე მან გამოაცალა გრიგოლ-სელაპა ვაშაძეს, ან სულ აგერ, გიგა ბოკერიამ დავით ბაქრაძეს – „ევროპული საქართველო.“ ეს განსაკუთრებით საშურია, რადგან ზაალ უდუმაშვილმა უკვე გააცხადა ენმ-ის მოქმედების გეგმა – გაგრძელდეს დაუმორჩილებლობა, აქციები, შეტევა...

როგორც თავის დროზე ლენინი შუშენსკოეს გადასახლებიდან, ნიკანორ მელია პარტიას წერილ-ინსტრუქციებით ბომბავს, როგორც ჩანს, ციხეში ამ მცირე დროით ჯდომას მისთვის უშედეგოდ არ ჩაუვლია. აი, ნიმუში მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან: „ჩვენ დამოუკიდებლობის ურთულესი 30-წლიანი პერიოდი გამოვიარეთ. ამ გზაზე ბევრი მძიმე შეცდომა დავუშვით, მაგრამ მათმა გაანალიზებამ დიდ გამოცდილებასა და სიბრძნესთან ერთად, ცოდნაც შეგვძინა, როგორ აღარ უნდა გავიმეოროთ ისინი. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ძლიერი მედია, სამოქალაქო სექტორი, სამოქალაქო აქტივისტების ახალი თაობა, ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ ერთმანეთს ხელი ჩავჭიდოთ და ავტორიტარიზმის იმ ღრმა უფსკრულში არ გადავეშვათ, რომელსაც ერთი ნაბიჯი გვაშორებს, ამიტომ კიდევ უფრო მეტად უნდა გავერთიანდეთ, უარი ვთქვათ იმპულსურ და ემოციურ გადაწყვეტილებებზე, ქვეყნის მომავლისთვის აუცილებელი ნაბიჯები გადავდგათ და კრიზისი შესაძლებლობად ვაქციოთ. რუსთავის ციხე, საკანი 224. 13.03.“

როგორც ვხედავთ, ნიკანორი აღიარებს თავის შეცდომებს, რევიზიას უწევს არსებულ რესურსებს და კრიზისის შესაძლებლობად გადაქცევის ამოცანას უსახავს თანამებრძოლთ.

ახლა ძნელი სათქმელია,როგორ წარიმართება მოვლენები ხვალ და ზეგ. სადღეისოდ კი იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ განვლილმა მოლაპარაკების კვირამ და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრიუსელში, ევროკავშირის შტაბბინაში სტუმრობამ ყველაფერი სხვაგვარად წარმოაჩინა: ხელისუფლება აშკარად მოგებული გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან. ტონიც შესაბამისად უფრო დამაჯერებელი გაუხდა.

მაგრამ ვინ მოგვასვენებს. ახალი სადარდებელი გაგვიჩნდა – შეიძლება კიდევ ერთი პოლიტპატიმარი შემოგვემატოს და მის გათავისუფლებაზე დაიგლიჯოს თმები ოპოზიციამ.

კახა კუკავას პარტაიგენოსზე, ქუთაისელ რევოლუციონერთა არაერთი თაობის დამფრთიანებელ და დამრიგებელ გოგი წულაიაზე მოგახსენებთ, რომელიც... სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააკავეს ამ დღეებში და ციხეშიც ჩააყუდეს.

ეს რიონისპირა სავარდო და სამაისო ქალაქის გამოჩენილი პოლიტიკოსი და „შერეკილი“ კაცი, რომელიც თავისი ხმაურიანობითა და ორიგინალური ხლიჩინა ენაწყლიანობით კარგა ხანია იქცევს ფართო საზოგადოების ყურადღებას, დღევანდელი ოპოზიციის ტიპური და კაშკაშა წარმომადგენელია.

ჰოდა, ამ გამოჯეკილმა პარტიულმა მუშაკმა უდროო დროს მოიშილიფა ხვანჯარი და ერთ თანაქუთაისელ და თანაპარტიელ ქალბატონს, როგორც დასავლეთში იტყვიან, შოუკვეთა. ქალბატონმა ეს ამბავი იხუა, მაშინ გოგია პარტნიორის დაჯმუჯვნას და მის ძალად დამორჩილებას შეეცადა,მაგრამ ხელჩართულში ვერ ივარგა და ამ ქშენა-ჯაჯგურში პოლიცია დაადგა თავზე. ეს ამბავი ორიოდ დღის წინათ მოხდა თბილისში მათი პოლიტიკური ვიზიტის დროს.

ადვოკატები უკვე ჩაებნენ მისი გამოხსნისთვის ბრძოლაში. განსაკუთრებით ტელეარხი „კავკასიის“ მუდმივმა ბინადარმა, ცნობილმა იურისტმა ვალერი გელბახიანმა გამოიდო თავი და მისი დახსნის ორიგინალური ვერსია წამოაყენა,რომელმაც თავმოყვარე გოგიას შეიძლება ბაწარში გააყოფინოს თავი: მტრები უგონებენო, თორემ ეს ზამბახივით ფაქიზი კაცი ძალადობას როგორ იქმდა, როცა სქესობრივი კავშირის დამყარების უნარი საერთოდ არ აქვსო. ამძუნებულ გოგიას თუ ცვედნობის ვერსიამ არ უშველა, კიდევ რჩება ერთი ნაღდი გზა – პოლიტპატიმრის სტატუსი. იმედია, ოპოზიცია ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

თუ 48 მილიონის მომპარავი გიგი უგულავა პოლიტპატიმარი იყო, თუ ხელმრუდი ირაკლი ოძრუაშვილი პოლიტპატიმარი იყო, თუ ბანდიტობით სახელგანსმენილი ჟორიკა რურუა პოლიტპატიმარია, თუ ბანკი „ქართუს“ გამკოტრებელი და პარლამენტში ძალად შეჭრის მოთავე ნიკანორ მელია პოლიტპატიმარია, გოგია წულაია ვითომ რა წითელი კოჭია?!



ალეკო ასლანიშვილი.
ტელ: 599568186

მეწყრული პროცესების შესასწავლად საქართველოში ავსტრიელი და გერმანელი სპეციალისტები ჩამოვლენ

ვაშლიჯვრის ფერდობზე, სადაც რამდენიმე დღის წინ მეწყრული პროცესები გააქტიურდა, 24-საათიანი მონიტორინგი მიმდინარეობს. გეოლოგები, სპეციალური აღჭურვილობით, აკვირდებიან ბუნებრივ პროცესებს. უსაფრთხოების მიზნით, უკვე მეხუთე დღეა, გადაკეტილია საავტომობილო და საფეხმავლო გზა.

ამ ეტაპზე მეწყრული პროცესის შეჩერებაა პრიორიტეტული, გეგმა კი, მას შემდეგ გაიწერება, როცა პროცესში ავსტრიელი და გერმანელი სპეციალისტები ჩაერთვებიან. ექსპერტებს საქართველოში დღეს ელოდებიან. ისინი, პროექტირებისა და მოდელირების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ქართველ სპეციალისტებთან ერთად გადაწყვეტენ, როგორ გადაჭრან პრობლემა.

კაცია-ოპოზიცია?!

თუ ანეკდოტების კრებული ქართულ პოლიტიკურ სპექტრში

...„ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გულია გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე, თუნდ ამისთანა რამ: „დათვი ხეზედ როგორ გავა, იავ-ნანინაო!..“ ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს. თუნდ მართლადაც ესე იყოს, რა დასაძრახისია? მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზედ რაღაცა სევდა მოსწოლია, და გონების გასართავად და უგემურ დღის დასალევად მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლა-და გონებაგასართველ საქმისათვის. უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“ (ილია ჭავჭავაძე. „კაცია-ადამიანი“?!).

როდესაც ამ „ჩვენი“ ოპოზიციის „საქმიანობას“ ვუყურებ, მუდამ წერილის დასაწყისში მოყვანილი დიდი ილიას ეს სიტყვები მახსენდება. სულაც არ არის საჭირო, რომ მთელი ნაწარმოები ამ მიმართულებით განვიხილო. მხოლოდ ბოლო მოვლენებზე თუნდაც ზერელე გადახედვაც კი დაგვარწმუნებს, რომ ქართული პოლიტიკური სივრცე ლუარსაბის ეზო-კარივით არის გაპარტახებული, ხოლო თავად პოლიტიკური სპექტრი მოსეებით, ლამაზისეულებით და მკითხავი ბაბალეებით არის სავსე!..

დარწმუნებული ვარ, რომ შალვა ნათელაშვილი დანიელსონთან შეხვედრის „დემონსტრაციულად“ დატოვების შემდეგ თავის ოფისში წავიდა და კედელზე ღიღინით „დათვი ხეზედ როგორ გავა, იავ-ნანინაო!..“ ამოკაწრა.

ხათუნა სამნიძემ კი ფასილიტატორული მედიაციიდან დაბრუნების შემდეგ გულის ქინძისთავი ამოიძრო და ანდაზა „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“ ამოაგვირისტა.

ის კი, რაც ხდება, არც დანიელსონის ბრალია, არც ქნირშის და არც დეგნანის.

ეს ჩვენი ბრალი უნდა იყოს, რადგანაც პოლიტიკოსები დავარქვით ხალხს, რომელთა **„აზრით, კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს“**.

არადა, ამ ე.წ. ოპოზიციონერების ქიჩმაჩი ქვეყნის განვითარებას რომ არ ამუხრუჭებდეს, ძველი ანეკდოტების კრებულია:

„ერთ ებრაელს ობეხეესი (სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება კომუნისტების დროს) დაადგა. დაუკაკუნეს კარზე.

— ვინ ხართო!

— ობეხე!

— რა გინდათ?

— სალაპარაკო გვაქვს.

— რამდენი ხართ?

— ორნი.

— ჰოდა ერთმანეთში ილაპარაკეთო“!...

„მამამ ბავშვი პარკში წაიყვანა. არც ატრაქციონზე დასვა, არც ნაყინი უყიდა. ბოლოს ბავშვმა უთხრა — ამწონე მაინცო.“

ხალხი ხმას არ გაძლევთ, ვადამდელს არ გინიშნავენ, პლებისციტი არ მუშაობს. კარგი, ჯანდაბას, მოდით, აგწონით და მანამდე ამ „პოლიტიკანებმა“ ერთმანეთში ილაპარაკეთ...

ეს „ევროპული საქართველო“ კი სუფთად „ცისფერი მთებია“:

დავით ბაქრაძე: მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წევრთა თხოვნით, პარტიის აპრილის ყრილობამდე ჯერ კიდევ ვითავსებ პარტიის თავმჯდომარის თანამდებობას, ფაქტობრივად, პარტიიდან უკვე წამოსული ვარ და აღარ ვერევი პარტიული პოზიციების შემუშავებასა და გახმოვანებაში..

ბოლოს და ბოლოს, გააგებინეთ კაცო აქაა, თუ იქ (ახლა არ მკითხოთ „სად იქ“).

სანამ „გრენლანდია“ არ დაეცემათ თავზე, მანამდე ვერ უნდა მიხვდნენ, რომ მათი დრო დამთავრდა?

მედიაცია ჩაიშალა. ამათ შემყურე დანიელსონმა ხელი ჩაიქნია და სახლში წავიდა.

ოპოები ხელისუფლებას აბრალებდნენ, ხელისუფლება — ოპოებს.

არადა, ხალხმა კარგად დაინახა, თუ ვინ იყო მთავარი პროვოკატორი და ვის დავალებებს ასრულებდა.

შულერი სახელოდან რომ „ამოაძრობს“ ჯოკერს, ისე ამოაძრო მიHამ გადამალული აკო მინაშვილი და მოლაპარაკების ჩასაშლელად „გადაარტყა“.

„გადაარტყა“, მაგრამ აქაც ვერ გათვალა.

ვერ გათვალა ის, რომ მინაშვილი ჯოკერი კი არა, ექვსიანი კოზირიც აღარ არის.

მისმა განცხადებებმა, რომლებსაც შეხვედრის წინ აკეთებდა, ყველასთვის ნათელი გახადა ის დესტრუქცია, საითაც სააკაშვილი მიდის.

ქართველებს გვაქვს ერთი კარგი ანდაზა — „ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის“.

კობახიძისა და თალაკვაძის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, რომლებიც აშკარად ქვეყნის პოლიტიკურ მომავალზე იყო ორიენტირებული, მკაფიოდ გამოკვეთეს ის პრიორიტეტები, რაზეც პარლამენტი, ხელისუფლება და პოლიტიკური სპექტრი უნდა ფიქრობდეს.

უნდა ფიქრობდეს პანდემიაზე, ეკონომიკაზე, ნორმალურ ინვესტიციებზე, განათლებაზე, კულტურაზე და არა ყოვლად გაუმართლებელ ვადამდელ არჩევნებზე, ურეიტინგო პოლიტიკური წარმონაქმნების სიცოცხლის გახანგრძლივებასა თუ კრიმინალების ციხიდან გამოშვებაზე.

იმ შესაძლებლობების გამოყენებაზე უარის თქმა, რაც დღევანდელ საპარლამენტო ოპოზიციას გააჩნია — საგამოძიებო კომისიის შექმნა და მისი ხელმძღვანელობა, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების მოწვევა პარლამენტში, სხვადასხვა დელეგაციებში ჩართულობა და ბოლოს და ბოლოს, უმაღლესი ტრიბუნა, ნაც-ოპოზიციის მხრიდან აშკარად ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლაა.

დიახ, აშკარა ბრძოლაა თუნდაც ნაცების ბოლო შეყვირება.

ზაალ(იკო) უდუმაშვილი — ამ ნაბიჯით „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ფუნდამენტური გეოპოლიტიკური არჩევანი, რომლითაც პირდაპირ მიჰყვება რუსული დაზვერვის ხელმძღვანელის ნარიშკინის კვალს.

არც მეტი და არც ნაკლები — ნარიშკინის კვალსო, დაჰქუხა ზალიკომ და იქვე მდგომ ბურჯანაძეს ჩაუჩურჩულა — გვარი „ნარიშკინი“ ხომ სწორად წარმოვთქვიო.

— ნუ გეშინია, ნელ-ნელა научишься акценты правильно ставить, — დაამშვიდა ბურჯანაძემ.

ზალიკო სიამოვნებისგან შეიშმუშნა, рад старатся, ჩაილაპარაკა და 15 მაისს რუსთაველზე გრანდიოზული შეკრება დააანონსა.

პრინციპში, კარგია რუსთაველზე უსაქმურად ტანტალი..

კარგია, მაგრამ თუ მოსახლეობის აშკარა უმრავლესობას ჰკითხავთ, პარლამენტთან შეკრება კი არა, აშკარად სჯობია ეს ოპოები სოფლებში წავიდნენ, უამრავი საქმეა გასაკეთებელი.

დაბარვა, გასხვლა, შეკეთება...

რა ჩამოთვლის, უამრავი საქმეა.

არადა, რო შეხედავ, ისეთ ჯანზე არიან, თითოეული ერთ ჯერზე კაი იაპონური ხელის ტრაქტორის საქმეს გააკეთებს.

პრინციპში, თუ არ იშლიან, ბარემ 17 მაისს დაამთხვიონ, ასეა თუ ისე, მაინც პროფესიული დღესასწაულის დღე აქვთ.

წერილის ბოლოს კი ისევ ხელისუფლებას მინდა მივმართო:

აჰა, დამთავრდა ეს უაზრო ფასილიტაციური მედიაცია და ის ხალხი ისევ გაიძახის, ქუჩის აქციები გვინდაო. არც დასავლეთი გვაინტერესებს და არც საქართველოო.

რაც მაგათ ელჩები და საერთაშორისო ინსტიტუტები ლანძღეს, ამდენი ლავროვი და ონიშჩენკო არ ულანძღიათ.

არ უნდა იმ ხალხს ნორმალური ქვეყანა. არ უნდათ არამც თუ საპარლამენტო მუშაობა, საერთოდ არაფრის კეთება არ უნდათ დესტრუქციის გარდა.

ჰოდა, გაუუქმეთ ეს დედააფეთქებული მანდატები.

გაუუქმეთ და გპირდებით, არავინ არაფერს იტყვის ვიღაც კუბილიუსის გარდა და მანაც შეიძლება არაფერი თქვას. კიდევ რა, ან ვინ გამუხრუჭებთ?

რა მოძალადე ქმრის მიერ დაშინებული ქალივით იქცევით?

რა გააწყალეთ გული მართლა და მართლა!!!

გია გაბრიჭიძე

ამირან გამყრელიძე: სამწუხაროდ, ისევ ჩნდება ილუზია, რომ დავამარცხეთ „კოვიდი“, არადა, ყოველდღიურად 200-400 შემთხვევა გვაქვს

— ვითარება ქვეყანაში სტაბილიზაციისკენ მიდის. ბოლო ორი თვის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლო ერთ თვეში ინციდენტობის, დადებითობის ყოველდღიური მაჩვენებლები და ინდიკატორები გახლავთ სტაბილური, მაგრამ მარტის განმავლობაში ამ მაჩვენებლების მნიშვნელოვანი უკუსვლა უკვე აღარ გვაქვს. ეს გასაგებია, რადგან შეზღუდვების დიდი ნაწილი მოიხსნა. სამწუხაროდ, ისევ ჩნდება ილუზია, რომ ჩვენ დავამარცხეთ „კოვიდი“, არადა, ყოველდღიურად გვაქვს 200, 300, 400 შემთხვევა, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

„ძალიან შევამცირეთ პირბადის ტარების მაჩვენებელი. ისევ გვაქვს დიდი შეკრებებისკენ ლტოლვა და ეს არის ეპიდვითარების შემდგომი გაუარესების ძალიან დიდი რისკი. დღეს დილით დადებითობის მაჩვენებელი ისევ ორის ზემოთ ავიდა, მაშინ, როდესაც ბოლო კვირების განმავლობაში ის გვქონდა ყოველთვის ორი პროცენტის ქვემოთ, ანუ ბოლო 14 დღის გვაქვს 1,55 პროცენტი, მარტის გვაქვს 1,58 და დღეს ისევ კუდი მოიქნია და გვაქვს 2,20 პროცენტი. ეს და კიდევ სხვა არაპირდაპირი ინდიკატორები მიუთითებს, რომ ყურადღება მოდუნდა, ისევ ვქმნით ილუზიას, რომ ვიმარჯვებთ, არადა გამარჯვებამდე ისევ ძალიან შორს არის. ამიტომ მოვუწოდებ მოსახლეობას და უმორჩილესად ვთხოვ, რომ ამ შემსუბუქების პერიოდში დავიცვათ ყველა ის რეკომენდაცია, რასაც ვამბობთ — პირბადე, დისტანცია, არა დიდი შეკრებები, ხელების ხშირი დამუშავება და ახლა უკვე ვაქცინაციაზე უარის ართქმა და ვაქცინირება. ეს ყველაფერი ერთობლიობაში დაასტაბილურებს ეპიდსიტუაციას და თუ ჩვენ მარტსა და აპრილს ამ მასშტაბის ეპიდსიტუაციით გავივლით, მაშინ შედარებით უფრო მსუბუქად და დიდი ალბათობით ავირიდებთ მესამე ტალღას“, — აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

სიახლე ბაკურიანში

ბაკურიანში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ახალი შენობა გაიხსნა. მათივე ინფორმაციით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცენტრი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის გათვალისწინებითაა დაპროექტებული.

პროექტი ქვეყანაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ადმინისტრაციული შენობა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი წოწკოლაურმა, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორმა ალექსანდრე კალანდიამ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ზაალიშვილმა მოინახულეს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების მშენებლობის პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ახორციელებს. რეგიონებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 31 ახალი ადმინისტრაციული შენობა უკვე გაიხსნა და ამჟამად კიდევ 22 ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს.

ᲐᲚᲘ ᲑᲐᲑᲐᲔᲕᲘ: Ე.წ. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲒᲐᲐᲦᲕᲘᲕᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲝᲡ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

„ᲙᲘᲓᲔᲕ ერთხელ დავრწმუნდი, ოპოზიციის სახით საქართველოს გარე მტრებზე უფრო საშიში შინა მტრები ჰყავს, რაც ნათლად გამოიხატება საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობით. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ებრძვის კორონავირუსს და მისგან მიყენებულ ზარალს, ამასთანავე ეძებს გზებს, რათა თავი დააღწიოს ეკონომიკურ კრიზისს, საქართველოში ე.წ. ოპოზიცია ყოველგვარ ღონეს ხმარობს რომ ხელი შეუშალოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ამასთანავე ყოველგვარ ღონეს ხმარობს, გააღვივოს პოლიტიკური კრიზისი და გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, რაც გამოიხატება სწორედ იმაში, რომ არ ემორჩილება მთავრობის მიერ მიღებულ და გატარებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ამასთანავე, არ სცემს პატივს საზოგადოების იმ უმრავლეს ნაწილს, რომელმაც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული არჩევნები ყველასგან აღიარებულია საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ, ოპოზიციური ძალა და მასთან ასოცირებული მედია ჯიუტად ცდილობენ მისთვის უსამართლობის სტატუსის მიკერებას. მოითხოვენ განმეორებით არჩევნებს, რაც სწორედაც რომ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მათ პირად ინტერესებს და აგრეთვე ქვეყანაში არადემოკრატიული პროცესების გაღვივებას.

აგრეთვე, ცხადია, რომ კანონი ყველა მოქალაქისთვის ერთია, ამდენად, შეუძლებელია პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭო ადამიანებს, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს. საწყენია, რომ მაშინ, როდესაც საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები, როგორიც არის ამერიკა და ევროკავშირი, მათი უმაღლესი წარმომადგენლები აქტიურად მოუწოდებენ ვაიოპოზიციას, შევიდნენ პარლამენტში და სწორედ იქ გამართონ დისკუსიები, ისინი არ ითვალისწინებენ ამ მრავალგზის მოწოდებებს. ამის სანაცვლოდ ასრულებენ ქვეყნიდან გაქცეული, ნასამართლევი, საქართველოს მოქალაქეობაზეც კი უარის მთქმელი მიხეილ სააკაშვილის დირექტივებს. ქვეყნის ხელისუფლება მოუწოდებს მათ, საერთაშორისო პარტნიორების შუამდგომლობით ჩაერთონ მოლაპარაკებებში, მაგრამ ისინი კომპრომისზე არ მიდიან.

აქედან გამოდის დასკვნა, რომ მათი მიზანი არის კრიზისის გამოწვევა და დესტაბილიზაცია, რაც მათ საშუალებას მისცემდა, ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება რევოლუციურ-გადატრიალების გზით. თუმცა ისინი ამას ვერ ეღირსებიან. სამწუხარო ფაქტის მომსწრე გავხდით სწორედ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს ერთობლივ დასკვნით პრესკონფერენციაზე, სადაც სწორედ ოპოზიციურ ძალებთან ასოცირებული მედიაჟურნალისტის მხრიდან დასმული იქნა არაკორექტული, პროვოკაციული და ამ დონის შეხვედრისთვის სრულიად შეუფერებელი შეკითხვები. სამწუხარო არის სწორედ ის, რომ ყოველივე ეს უარყოფითად აისახა ქვეყნის იმიჯზე საერთაშორისო მასშტაბით“, — წერს ალი ბაბაევი ფეისბუქზე.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ!

ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲡ 78 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ. ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲛᲐᲘᲜᲘᲜᲒᲘᲪ ᲫᲛᲜᲘᲡ. ᲣᲤᲐᲡᲝ ᲐᲜ ᲘᲐᲤᲘ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲛᲐᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲔᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ, ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ, ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲛᲘᲙᲔᲠᲔᲑᲐ.

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მოცულობის კრიპტომაინინგს ბიტფური ახორციელებს. 2020 წელს ბიტფურის მოხმარებამ 132 მლნ კვტ/სთ შეადგინა, მთლიანი მოხმარების 1.1%, რაც 2021 წლის იანვარ-თებერვალში 2.4%-მდე გაიზარდა. ბევრად მაღალი 4.2% იყო ბიტფურის წილი 2019 წელს, მაშინ მან რეკორდული მოცულობის — 534 მლნ კვტ/სთ-ის ელექტროენერგია მოიხმარა. ბიტფური 2015 წლიდან ოპერირებს, თუმცა პირდაპირი მომხმარებელი მხოლოდ 2018 წლის მაისიდან გახდა, შესაბამისად რა ოდენობის ელექტროენერგიას ხარჯავდა კომპანია იქამდე, უცნობია. **2018 წლის ბოლო 8 თვეში კი მისმა მოხმარებამ 272 მლნ კვტ/სთ, ანუ მთლიანი მოხმარების 3.2% შეადგინა. სულ 2018 წლის მაისიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით ბიტფურმა 993 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია მოიხმარა, რაც ქვეყნის ჯამური მოხმარების — 35.438 მლრდ კვტ/სთ-ის 2.8%-ს შეადგენს.**

ᲑᲘᲢᲤᲣᲠᲘᲡ ᲫᲐᲠᲗᲜᲔᲑᲘ ᲒᲚᲓᲐᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲓᲔᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲢᲤᲣᲠᲘ ᲓᲦᲒ-ᲘᲡ 18%-ᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲮᲓᲘ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲪᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲕᲔᲠᲪ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲔᲑᲘ. ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲔᲬᲝᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲔᲠᲗ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲗᲑᲣᲠᲔ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲗᲣ ᲐᲛ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲫᲛᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐ.

ბიტფური ერთადერთი არაა. ხარჯების სიმცირე ყოველთვის აჩენს რაიმე საქმიანობის წამოწყების სურვილს. თუ ბიტფურს ელექტროენერგიაზე იაფი წვდომა აქვს, სვანეთში ის უფასოა. 2020 წელს ბიტკოინის ღირებულება მკვეთრად გაიზარდა. თუ სექტემბერში 10-11 ათასი დოლარი ღირდა, დეკემბერში 427 000-ს გადააჭარბა. ქსელმა გაზრდილ დატვირთვას ვერ გაუძლო და რეგიონში მცხოვრები ის ადამიანები დაზარალდნენ, რომლებიც მაინინგს არ აწარმოებდნენ. სემეკში აცხადებენ, რომ მაინინგმა სვანეთში მოხმარება 6-ჯერ გაზარდა. „ენერგო პრო ჯორჯიამ“ რამდენიმე მომხმარებელი ქსელიდან ჩაჭრა, თუმცა ეს მხოლოდ დროებითი გამოსავალია.

მაგრამ იმავე პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთში ის მკვეთრად 24%-ით 2.552 მლრდ კვტ/სთ-მდე გაიზარდა. შესაბამისად, რეგიონში მოხმარება 1 სულ მოსახლეზე 10 208 კვტ/სთ-ს გაუტოლდა, დანარჩენ საქართველოში კი 2596 კვტ/სთ-მდე შემცირდა, რაც უკვე 8.7%-იანი ვარდნაა და არა 4.8%-იანი. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ 1 ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ 293%-ᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ. 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲝᲠ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ 9.3%-ᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ 2.8%-ᲘᲐᲜᲘ ᲙᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ.



ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲒᲐᲣᲗᲐᲜᲐᲑᲠᲓᲐ, 2021 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲗ. ᲣᲤᲐᲡᲝ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠ�გᲔᲑᲘ ᲐᲓᲠᲔᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲪ 2020-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. 2019 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲯᲐᲛᲣᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ 12.584 ᲛᲚᲠᲓ Კ�ვტ/ᲡᲗ-Ს ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ 2.060 ᲛᲚᲠᲓ ᲙᲵᲢ/ᲡᲗ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲠᲔᲑᲐᲓ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ �რაოდენობა 3.7 ᲛᲚᲜ-Ს ᲣᲓᲠᲘᲡ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ 250 ᲐᲗᲐᲡᲡ. ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ 1 ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 3186 ᲙᲵᲢ/ᲡᲗ-Ს ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ, ᲔᲜᲔᲒᲣᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲦᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ 2844 ᲙᲵᲢ/ᲡᲗ-Ს, ᲔᲜᲔᲒᲣᲠᲡ ᲒᲐᲦᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ — 8240 ᲙᲵᲢ/ᲡᲗ-Ს, ᲐᲜᲣ 2.9-ᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲡ. ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ 4.8%-ᲘᲗ 12.157 ᲛᲚᲠᲓ ᲙᲵᲢ/ᲡᲗ-ᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ, ᲐᲜᲣ 1 ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 3078 ᲙᲵᲢ/ᲡᲗ-ᲛᲓᲔ,

როგორც ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა და „საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარემ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐᲛ** Commersant-თან საუბრისას განმარტა, უფასო დენს აფხაზეთში ადგილობრივებთან ერთად, სპეციალურად ამ მიზნისთვის ჩასული რუსეთის მოქალაქეებიც ეტანებიან. 90-იან წლებში დადებული არაოფიციალური შეთანხმება, რომლის ძალითაც აფხაზეთს ენგურჰესის გამომუშავების 40% უნდა დარჩენოდა, არ სრულდება და ზამთრის თვეებში 100% მას რჩება. ბოლო 13 წელიწადში მთლიანი საქართველოს ელექტროენერგიის მოხმარება 56%-ით გაიზარდა, ოკუპირებულ აფხაზეთში კი გაორმაგდა.

სემეკის თავმჯდომარის დავით ნარმანიას განცხადებით 2019 წელს მოხმარებული ელექტროენერგიის 8.5% — კრიპტომაინინგზე დაიხარჯა, ეს 1.085 მლრდ კვტ/სთ-ა, იმავე წლის იმპორტის 66.7% და ენერგოდეფიციტის 78%.

პირდაპირი მომხმარებლებიდან ყველაზე მსხვილი „ჯორჯიან მანგანეზია,“ რომელმაც იმავე 2019 წელს 1.099 მლრდ კვტ/სთ მოიხმარა, თუმცა ბიტკოინისგან განსხვავებით, ექსპორტზე $303 მლნ-ის პროდუქცია გაიტანა, რითაც მესამე ადგილი დაიკავა. კომპანია ასევე ფლობს ვარცხიხეჰესს, რომელმაც 2019 წლს 727 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია აწარმოა, ანუ საკუთარი საჭიროების 66%. „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელობაშია ასევე ჭიათურის სამთო-გამამდირებელი კომბინატი და კლინიკა „ფერომედი.“ სხვა მსხვილი პირდაპირი მომხმარებლები ასევე არიან: „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი,“ „რუსთავის ფოლადი,“ „რუსთავის აზოტი,“ „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ და „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“, ანუ ისეთი კომპანიები, რომლებიც ქმნიან სერვისებს, პროდუქციას ადგილობრივი და საექსპორტო საჭიროებისთვის, ასაქმებენ ადამიანებს, იხდიან გადასახადებს, წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. ამ კომპანიებისგან განსხვავებით კრიპტომაინინგით მოგებული მხოლოდ მისი მფლობელი რჩება.

საქართველოს კანონმდებლობით ბიტკოინის ან რომელიმე სხვა ციფრული ვალუტის ფლობა, გადარიცხვა და გამომუშავება აკრძალული არ არის. აკრძალვის მოთხოვნა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ დენს მოიხმარს, სამართლიანობასთან კითხვებს აჩენს და ამ პრინციპით ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვის იდეა შეიძლება გაუჩნდეს ვინმეს. უფრო მეტ პრობლემას შერჩევითი შეღავათები წარმოადგენს, სტანდარტული ტარიფი კრიპტოგენერაციას ავტომატურად შეამცირებდა. მაღალმთიან რეგიონებში, მათ შორის სვანეთში სუბსიდირება დასაშვებია, ოღონდ მხოლოდ საყოფაცხოვრებო მოხმარების შემთხვევაში.

ᲰᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲛᲐᲘᲜᲘᲜᲒᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲮᲔᲚᲩᲐᲡᲐᲭᲘᲓᲘ �თემა გახდა და მათი მტკიცებით მოხმარება მხოლოდ ბიტკოინების გამოთვლების ხარჯზე იზრდება, რაც მცდარია. მაინინგი 2015 წლიდან დაიწყო და მნიშვნელოვან მოცულობას 2017 წელს მიაღწია, როდესაც ბიტკოინის ფასი $900-დან $20 000-მდე გაიზარდა. ელექტროენერგიის მოხმარება კი იქამდეც იზრდებოდა. 2007 წელს ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის მოხმარება 7.815 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენდა, 2010 წელს 8.441 მლრდ კვტ/სთ-ს, 2014 წელს, სანამ მაინინგი დაიწყებოდა 10.170 მლრდ კვტ/სთ-ს, 2016 წელს მაინინგის გაფართოებამდე — 11.026 მლრდ კვტ/სთ-ს.

თუ 2019 წელს კრიპტომაინინგზე 1.085 მლრდ კვტ/სთ დაიხარჯა, მის გარეშე მოხმარება 11.686 მლრდ კვტ/სთ იქნებოდა, რაც 2010 წლის მაჩვენებელს 3.241 მლრდ კვტ/სთ-ით, ანუ 38%-ით მეტია. მოხმარების ზრდის ტემპი გენერაციის ზრდის ტემპს კრიპტომაინინგის გარეშეც უსწრებს.

№ 59-60. ორშაბათი-სამშაბათი, 22-23 მარტი, 2021 წელი.

„კოლხ მედეას“ მხოლოდ სასიკეთო საქმენი ხელეწიფება!..

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე – 95

ღვაწლმოსილ მეცნიერს, მეცნიერების შესანიშნავ ორგანიზატორს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ეთერ ქემერტელიძეს 95 წელი შეუსრულდა. კოლეგები და მეგობრები გულითადად ვულოცავთ ქალბატონ ეთერს საიუბილეო თარიღს და ჯანმრთელ და შემოქმედებით აღსავსე ცხოვრებას ვუსურვებთ.

ეთერ ქემერტელიძე დაიბადა 1926 წლის 23 მარტს დაბა საჩხერეში, დამსახურებული ექიმის პეტრე ქემერტელიძის ოჯახში. 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლა, 1946 წელს – თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი, 1951 წელს – თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის ასპირანტურა და იქვე განაგრძო მუშაობა. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1977 წ. პროფესორის წოდება მიენიჭა.

1977 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს კი ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. 2004 წლიდან არის რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკური აკადემიის ნამდვლი წევრი – აკადემიკოსი. 1981 წელს – საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, 1977 წელს კი პროფესორის წოდება მიენიჭა.

იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის და საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი. არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარგობრივი კომისიის „ფარმაკოქიმია“ თავმჯდომარე. 1972 წლის აპრილიდან 2005 წლის დეკემბრამდე 34 წლის განმავლობაში იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. ამჟამად თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტეროიდულ ნივთიერებათა მიმართულების ხელმძღვანელი, მთავარ მეცნიერ-თანამშრომელია.

1992 წელს ინსტიტუტს ეწვია ამერიკის საინვესტიციო კომპანიის OPIC-ის დელეგაცია. მათ თავის მემორანდუმში ჩაწერეს: **„...ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ერთობრივი წარმოებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია, ხოლო დირექტორი ეთერ ქემერტელიძე ყველაზე მოაზროვნე ხელმძღვანელია, ვისაც კი ჩვენ შევხვედრივართ. მისი პოზიცია დარგის განვითარებისა და საქართველოს მომავლისათვის იყო აბსოლუტურად ნათელი...“**

1960 წელს ე. ქემერტელიძის ინიციატივით ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ფიტოქიმიის განყოფილება დაარსდა, სადაც გაიშალა კვლევები ცალკეულ მცენარეულ მეტაბოლიტებზე, როგორიცაა: კარდენოლოიდები, ბუფადიონოლიდები, სტეროიდული და ტრიტერპენული საპონინები, ლიპიდები, ფლავონოიდები, კუმარინები, ლიგნანები, ანტრაქინონები, ტერპენოიდები, პოლისაქარიდები. ამით დამკვიდრდა ცალკეული ქიმიური კლასის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევა. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მოპოვებული და ინსტიტუტმა საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა. ცალკეული კლასის ნივთიერებათა მიხედვით მეცნიერული კადრი მზადდებოდა, ჩამოყალიბდა ფიტოქიმიკოსთა სოლიდური სკოლა.

ე. ქემერტელიძემ, თავის მოწაფეებთან ერთად, დაადგინა ურთიერთდამოკიდებულება ქიმიურ სტრუქტურასა და ბიოლოგიურ აქტივობას შორის; ჰემატაქსონომიური კვლევებით აღმოაჩინა ცალკეულ ოჯახებში, გვარებში ნივთიერებათა ბიოსინთეზის კანონზომიერებანი.

საქართველოს ფლორის შესწავლით, მოწაფეებთან ერთად, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველი მრავალრიცხოვანი მცენარე იქნა გამოვლენილი, გამოყოფილი და დახასიათებულია რამდენიმე ათასი კომპონენტი, მათ შორის 363 ახალი ორგანული ნივთიერება.

მნიშვნელოვანი ფუნდამენტური კვლევების შედეგად მის მიერ, მოწაფეებთან ერთად, შემუშავდა ორიგინალური მოსახლეობისათვის უვნებელი, ეფექტური და ხელმისაწვდომი სამკურნალო პრეპარატი და ბიოქიმიური რეაქტივი, მოწოდებულია სტერიდული ჰორმორალური პრეპარატების სინთეზის ახალი ნედლეული, სოფლის მეურნეობის კულტურა ზრდა-განვითარების უფექტური სტიმულატორი, რომლებიც ნებადართულია პრაქტიკაში გამოყენებისათვის, ორგანიზებულია მათი წარმოება. რეალიზაცია მიმდინარეობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, შემდეგ რუსეთის ფედერაციაში, დსთ ქვეყნებში.

ჩამოყალიბდა პრეპარატთა შექმნისათვის საჭირო სამეცნიერო განყოფილებები, საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზები, სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურები. ამგვარად შეიქმნა კომპლექსური სისტემა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, ძიებიდან დაწყებული პრეპარატთა წარმოებით დამთავრებული. მისი ინიციატივით ინსტიტუტში გაიზარდა სამეცნიერო კადრი.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში დააარსა მიმართულება „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა“, ხოლო წმინდა თამარ მეფის სახელობის უმაღლეს სასწავლო უნივერსიტეტში – „ფარმაციის და ტრადიციული მედიცინის ფაკულტეტი“.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე თავისი საქმიანობის მასშტაბით თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. იგი იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის, საკავშირო მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის, საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ექვსი საპრობლემო-სამეცნიერო საბჭოს წევრი, საკავშირო ფარმაცევტთა საზოგადოების გამგეობის წევრი, ოთხი საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი.

ე. ქემერტელიძე აქტიურად თანამშრომლობდა და დღესაც განაგრძობს თანამშრომლობას საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, იტალიის, საბერძნეთის, კანადის, ავსტრიის, გერმანიის, იაპონიის, პოლონეთის, ჩინეთის, უკრაინის, უზბეკეთის, რუსეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან. შემთხვევითი არ არის, რომ ფრანგმა მეცნიერმა სტივენსონმა მას „კოლხი მედეა“ უწოდა.

1984-1989 წწ. იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის დეპუტატი, ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საპარლამენტო კომისიის წევრი.

ავტორებთან ერთად მინიჭებული აქვს პეტრე მელიქიშვილის და იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემიები, საქართველოს სახელმწიფო პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. გამოქვეყნებული აქვს 670 სტატია, 14 მონოგრაფია, მიღებული აქვს 89 პატენტი და საავტორო მოწმობა, მათ შორის სამი დაპატენტებულია ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში.

მიღებული აქვს ჯილდოები: საპატიო ნიშნის, შრომის წითელი დროშის, ღირსების ორდენები, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის საერთაშორისო კოლეგიის ოქროს დისკი, ინგლისის საერთაშორისო ბიოლოგიური ცენტრის მედალი „საუკუნის (1900-2000) პიროვნება“, საერთაშორისო ფონდის „მეცნიერული პარტნიორობა“ საპატიო სიგელი. დაჯილდოებულია საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი „წმინდა გიორგის ოქროს ორდენით“, მიღებული აქვს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის საპატიო სიგელი, ღვაწლმოსილი ფარმაცევტის მედალი №0001 სს „გეფა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, შრომის ვეტერანის და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მედლები. არის დაბა საჩხერის და ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე.

სამეცნიერო ცხოვრების ხანგრძლივ გზაზე ეთერ ქემერტელიძე უანგაროდ ემსახურა თავის ხალხს და ქვეყანას. 95 წლის საიუბილეო თარიღს ის ვალმოხდილი და წელგამართული ხვდება. ვულოცავთ ქალბატონ ეთერს საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას ვუსურვებთ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

სამინისტროს ძალისხმევით, სახელმწიფომ მინიმუმ 180 მლნ დოლარი დაზოგა!

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ე.წ. რაიფაიზენის საქმეზე „მთავარი არხის“ ეთერში გასულ ინფორმაციას ეხმაურება.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, მედიასაშუალებით გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოსდა საქართველომ „რაიფაიზენ“ ბანკთან მოლაპარაკებები „საიდუმლო ვითარებაში აწარმოა“ და გადარიცხული 25 მლნ დოლარიდან ბანკმა „მხოლოდ 15 მლნ დოლარი მიიღო“.

„სინამდვილეში, „რაიფაიზენ“ ბანკი საქართველოსთან საარბიტრაჟო დავას აწარმოებდა, რომელიც დასრულდა მორიგებით; აღნიშნული მორიგების ფარგლებში 25 მლნ დოლარი ბანკმა რამდენიმე ტრანშად მიიღო.

იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, რომ ავსტრიაში რეგისტრირებულ ფირმა Raiffeisen Bank InternationalAG-სთან საარბიტრაჟო დავის მორიგებით გადაწყვეტისათვის 2012 წლიდან აწარმოებდა რთულ და ხანგრძლივ მოლაპარაკებებს საქართველოს ინტერესების დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოლაპარაკებების შეთანხმებით დასრულებას საქართველოს მთავრობა და იუსტიციის სამინისტრო 2006 წლიდან უშედეგოდ ცდილობდა და წარმატების მიღწევა მხოლოდ 2015 წელს გახდა შესაძლებელი.



2012 წელს, მოლაპარაკებების განახლების მომენტში, ბანკი არბიტრაჟში თავის მოთხოვნას აფასებდა 210 მლნ დოლარის ფარგლებში, თუმცა, მოლაპარაკებების პროცედურების დასრულებამდე ეს თანხა კიდევ გაიზარდა და იყო 210 მლნ დოლარზე გაცილებით მეტი. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისა და ორმხრივი შეთანხმების გაფორმების შედეგად ქართულმა მხარემ, მინიმუმ, 210 მილიონი აშშ დოლარის ნაცვლად, მოდავე მხარეს გადაუხადა მოთხოვნილზე ბევრად ნაკლები თანხა – 25 მილიონი აშშ დოლარი. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, რომელიც საჯაროა, მითითებული იყო, რომ ბანკს თანხა უნდა ჩარიცხვოდა რამდენიმე ტრანშად, რაც შესრულდა კიდეც – პირველი ტრანში – 5 მლნ აშშ დოლარი გადაირიცხა 2015 წლის დეკემბერში; მეორე ტრანში – 10 მლნ აშშ დოლარი – 2016 წლის თებერვალში, მესამე ტრანში 10 მლნ აშშ დოლარი – 2017 წლის 20 იანვარს. თანხის გადახდა დასრულდა 2017 წელს. მორიგების თანხის განწილვადება მიზნად ისახავდა მორიგების მთლიანი თანხის ფინანსური ტვირთის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ერთიანად დაკისრების თავიდან არიდებას.

ე.წ. რაიფაიზენის საქმეზე საარბიტრაჟო დავის შეთანხმებით დასრულება იყო ქართული მხარის წარმატება, რომელმაც შესაძლებელი გახადა საქართველოს ბიუჯეტიდან მინიმუმ 180 მილიონი აშშ დოლარის დაზოგვა. ყველა სხვა ინტერპრეტაცია ამ საქმისა, წარმოადგენს დეზინფორმაციას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას“, – ნათქვამია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.

„თანამედროვე ფიზიკის ღმერთი სავაოფი“ თბილისში...

მარჯვნიდან მარცხნივ – ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ნილს ბორი, ადელაიდა აზო (თარჯიმანი), ნილს ბორის შვილი, ნობელის პრემიის ლაურეატი ოგე ბორი.

2021 წლის 3 მარტიდან მსოფლიო საზოგადოება აღნიშნავს საერთაშორისო ინსტიტუტის 100 წლისთავს, რომელიც ატარებს დანიელი ფიზიკოს-თეორეტიკოსის და საზოგადო მოღვაწის, თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ნილს ბორის სახელს.

დიდი მეცნიერი ნილს ბორი სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ვიზიტით ეწვია ჩვენს ქვეყანას, მაშინდელი საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ელეფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილის მოწვევით.

ვიზიტი აქტიურად იყო გაშუქებული ქართული პრესის, კერძოდ, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ ჟურნალისტების მიერ. ეს იყო წელი, როდესაც ფიზიკის ინსტიტუტის კედლებში აკადემიკოს ე. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით სსრკ-ში შეიქმნა პირველი დაბალტემპერატურული მარყუჟი ბირთვულ რეაქტორებში ნივთიერებათა დასხივებისთვის აბსოლუტური ნულის ტემპერატურების მახლობლად.

თავის მოგონებებში იმ დღეების შესახებ ე. ანდრონიკაშვილი წერდა: „1961 წლის 14 მაისს აეროდრომი გავსებული იყო თბილისელი ფიზიკოსებით. რეაქტიული თვითმფრინავის ძრავების გუგუნმა გვაუწყა, რომ ჩვენს მიწაზე დაეშვა თანამედროვე ფიზიკის ღმერთი სავაოფი, ყველაზე დიდებული დიდებულთა შორის – ნილს ბორი. იგი დიდი იყო არა მარტო იმიტომ, რომ ფიზიკის სამსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მას მხოლოდ ნიუტონი და აინშტაინი თუ მიესადაგებიან, არამედ იგი დიდი იყო თავისი სიუხვითაც, ვინაიდან ნილს ბორი მეცნიერებაში იყო „მთესველი“.

ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელის, მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ე. ანდრონიკაშვილის ეს სიტყვები აღმოჩნდა წინასწარმეტყველური ჩვენთვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ბორის მიერ წაკითხული ლექცია, მის მიერ აგებული ნებისმიერი ცვლილების და მათი კავშირის – წინააღმდეგობათა დამატებითობის, ერთიანობის ფუნდამენტური ფილოსოფიური პრინციპი ჩვენ გზამკვლევად მოგვყვება დღემდე.

ამ ლექციამ ჩვენ მიგვიყვანა ცოდნის ერთიანობის ქართული პარადიგმის (სამეცნიერო საზოგადოების მიერ მიღებული რაციონალური სამეცნიერო შემოქმედების მოდელის) შექმნამდე. ბორის ამ პრინციპის გაფართოებით მივედით ინფორმაციის კომპიუტინგის (გამოთვლის) ერთიან ფიზიკურ საფუძვლებამდე და უნივერსალურ მოძრაობამდე, სკოლის მერხიდან ცნობილი ცირკულაციის სახით – ნილს ბორის მიხედვით ჩვენი სამყაროს ბუნების საწყისებამდე.

„ვაქციოთ საქართველო განათლების და მეცნიერების სამჭედლოდ“ – სწორედ ასეთი რუბრიკით გამოდიოდა იმ წლებში მასალები, რომელიც დაკავშირებული იყო ჩვენს ქვეყანაში გამოჩენილი მეცნიერის ვიზიტთან.

დღეს ამ რუბრიკამ შეიძინა განსაკუთრებული ჟღერადობა. ეს ნიშნავს ჩვენთვის მეცნიერების კრიზისის დაძლევას და ფიზიკაზე დაფუძნებული განათლების აღორძინებას.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობამ, განათლების და მეცნიერების სამინისტრომ განსაკუთრებით სწორად დასახა ორიენტირები განათლების, როგორც სტრატეგიული მიმართულების და შესაბამისად მეცნიერების, როგორც განათლების განვითარების საბაზო პრიორიტეტად დასახვით. ამ კონტექსტში სამეცნიერო განათლება, ანუ განათლება მეცნიერებაში – მთელ XXI ს. განათლებულ სამყაროში მოითხოვს ზოგადად კვლევისა და სამეცნიერო კვლევის – მეთოდოლოგიურად ახალი ცოდნის შექმნაზე აგებული მიმართულებების ცნებების მკაცრ გამიჯვნას.

დღეს, როგორც კარგად ცნობილია, მეცნიერების განვითარების წინა ხაზი გადის ინფორმაციის ფიზიკური კომპიუტინგის (გამოთვლის) მიმართულებით. ძირითადი კითხვა, რომელიც დღეს დასმულია კომპიუტინგის, ე.ი. ფიზიკური გამოთვლის მეცნიერებით, მდგომარეობს იმაში, თუ „როგორ ანგარიშობს ინფორმაციას ბუნება“ (გ. **ჩოგოვაძე, „ინფორნაცია“**). ამ პარადიგმამ „წაშალა“ ის პირობითი საზღვარი, რომელიც არსებობდა საბუნებისმეტყველო და ე.წ. ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის, ბორის „ცოდნის ერთიანობის“ მიხედვით.

ქართული ფიზიკური მეცნიერების ლოკალური მიღწევების გათვალისწინებით, აუცილებელია მისი ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში მეცნიერებაში საერთაშორისო შეთანხმებების და ხელშეკრულებების სტრატეგიული მიზნების მიხედვით, რომელსაც შეუერთდა საქართველო 1994 წლიდან, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ფიზიკური მეცნიერების სისტემურ აღორძინებაზე გადასვლას. ამ გზით იქნება გადალახული კრიზისი ოდესღაც ქართული განათლებისთვის პრიორიტეტულ ფიზიკურ მეცნიერებაში, დიდი ნ. ბორის მიერ მაღალ დონეზე შეფასებული, დანიიდან ე. ანდრონიკაშვილის სახელზე გამოგზავნილ წერილებში.

ბორის სიტყვების მიხედვით, ჩვენს ორ პატარა, რაოდენობრივად და ტრადიციებით მსგავს ქვეყანაში იყო ბევრი საერთო. ბორის ამ ხედვამ თავისი ასახვა პოვა თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, ინფორმაციული სისტემების უახლესი გავლენის სფეროების განვითარებაში და გვაძლევს სერიოზულ საფუძველს მივიჩნიოთ, რომ საქართველო, თავისი რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, ჭეშმარიტად შეიძლება იქცეს მსოფლიოს რუკაზე განათლებისა და მეცნიერების სამჭედლოდ.

პავლე ასათიანი,
პროფესორი, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დარგში პირველი საერთაშორისო კატეგორიის მეცნიერ-ექსპერტი

გუშინ ნოვრუზ ბაირამის მსოფლიო დღესასწაული დაიწყო

ნოვრუზ ბაირამი გაზაფხულის შემოსვლის, ზოგიერთ ქვეყანაში კი, ახალი წლის დღესასწაულია. მუსლიმები 21 მარტს დღისა და ღამის გათანასწორების, დედამიწის გამოცოცხლებისა და სიცოცხლის დაწყების დღედ მიიჩნევენ. ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს ყველა ოჯახში მწვანე ჯეჯილი უნდა იყოს. ასევე, იღებება კვერცხები და ცხვება ტკბილეული.

ნოვრუზ ბაირამი საქართველოში საერთო სახალხო დღესასწაულის სახით 2010 წლიდან აღინიშნება. ამ დღეს საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

აზერბაიჯანში ნოვრუზ დღესასწაული სამ დღეს გრძელდება. აქ ყოველი წლის 21-23 მარტი დიდი ზეიმით აღინიშნება. ნოვრუზის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი დღე „აჰირ ჩარშამბაა“ (ბოლო ოთხშაბათი). დღესასწაულის თვეში ოთხივე კვირის ოთხშაბათი მნიშვნელოვანია. მას „უსკუსაც“ უწოდებენ. თვის ბოლო ოთხშაბათის წინა დღეს (სამშაბათს) კაცები სასაფლაოზე გადიან, სურა „ფათიჰას“ კითხულობენ და შემდეგ სახლში ბრუნდებიან. ქალები ჰალვით, ფლავითა და სხვადასხვა საჭმლით საფლავების მოსანახულებლად გადიან.

„აჰირ ჩარშამბის“ ერთ-ერთი აუცილებელი ადათი სახლისა და ჭურჭლეულის საგანგებო წესებით დასუფთავება-გარეცხვაა. ასევე მნიშვნელოვანი წესია „წყალში ბეჭდის ჩაგდება“. ოთახის შუაში წყლით სავსე ტაშტს ქალიშვილები შემოუსხდებიან და ბეჭდებს შიგ თითო-თითო ყრიან. ბოლოს ერთი მათგანი ტაშტიდან ბეჭედს ამოიღებს. ვისი ბეჭედიც ამოყვება, მისთვის ის წელი ბედნიერი იქნება.

ნოვრუზის დღესასწაულზე კაცები და ქალები ცალ-ცალკე მოიყრიან თავს და ერთმანეთს მიულოცავენ. საჭიროდ თვლიან იმ წელს გარდაცვლილი ოჯახები მოინახულონ. ამ დღეს დამწუხრება ცოდვად ითვლება. ისინი ამ დღეს შაქარს, ბრინჯს, კვერცხსა და სხვადასხვა საჭმელს გაჭირვებულ ოჯახებს უნაწილებენ. ამ დღეს ავადმყოფებსა და ნათესავებსაც მოინახულებენ.

2009 წლის 30 სექტემბერს „იუნესკომ“ ნოვრუზი არამატერიალურ კულტურულ ძეგლად გამოაცხადა და მას შემდეგ 21 მარტი ნოვრუზის საერთაშორისო დღესასწაულად გამოცხადდა. პანდემიისა და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, წელს დღესასწაული მოკრძალებულად აღინიშნება.

<u>პრეზიდენტი:</u> ნოვრუზ ბაირამი ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების მრავალფეროვნების მაგალითია

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა.

„დღეს აღინიშნება გაზაფხულის დადგომის, ნოვრუზის დღესასწაული, რომელიც ბუნების გამოღვიძებას, ახალი ენერგიით აღვსებას ნიშნავს და არის ახალი საწყისის, უკეთესი მომავლის იმედის სიმბოლო. საქართველოში ნოვრუზობის დღესასწაულის აღნიშვნას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს არის საქართველოს კულტურისა და ტრადიციების მრავალფეროვნების ნათელი მაგალითი. პანდემიის გამო, სამწუხაროდ, წელსაც არ გვეძლევა ამ უძველესი დღესასწაულის ერთად აღნიშვნის შესაძლებლობა. მჯერა, რომ ერთიანი ძალისხმევით პანდემია დამარცხდება და მომავალში ნოვრუზობის ლამაზი ზეიმის ტრადიციულად აღნიშვნა ყოველთვის გაალამაზებს საქართველოს გაზაფხულს. ვულოცავ საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს, ჩვენს ყველა მოქალაქეს, რომელიც ნოვრუზ ბაირამს ზეიმობს. ყველას, ვინც საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღნიშნავს ნოვრუზს, ვულოცავ გაზაფხულის, ახალი დღის დადგომის დღესასწაულს! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს“ – აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში.

პრემიერმა აზერბაიჯანელებს მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მიულოცა. მთავრობის მეთაურმა მათ მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ პირადად მოგილოცოთ ნოვრუზ ბაირამი. ეს განახლების, სიყვარულის დღეა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა და ურთიერთობა. პანდემიის გამო, განსხვავებულ ფორმატში მოგვიწია ამ დღის აღნიშვნა. მახსოვს, როცა პირველად ვიყავი პრემიერ-მინისტრი, პირადად ჩამოვდიოდი მარნეულში და ერთად აღვნიშნავდით ამ დღეს. სამწუხაროდ, დღეს, პანდემიის გამო, სხვა ვითარებაში გვიწევს მუშაობა. აქედან გამომდინარე, მინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ ამ რეალობის გათვალისწინებისთვის“ – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს დღესასწაული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმაც მიულოცა. სტუმრებს დღესასწაული ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა შოთა რეხვიაშვილმა, მარნეულისა და გარდაბნის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაურ დარგალმა და პარლამენტის წევრმა სავალან მირზოევმაც მიულოცეს. ნოვრუზ ბაირამი გაზაფხულის შემოსვლის, ზოგიერთ ქვეყანაში კი, ახალი წლის დღესასწაულია. მუსლიმები 21 მარტს დღისა და ღამის გათანასწორების, დედამიწის გამოცოცხლებისა და სიცოცხლის დაწყების დღედ მიიჩნევენ.



თავი 1

თავის თავზე

გოლოს და გოლოს, ნელ-ნელა მივხვდი, რომ არცვის სასოწარკვეთის უფლება არა აქვს მხოლოდ იმის გამო, რომ მოლოდინმა არ გაუმართლა, მაგრამ ჯერ ენახა, შეემოწმებინა, თავისავე ვარაუდში ხომ არ შეცდებოდა.

* * *

ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო.

* * *

გაზრის აურზაური და გნიასი კი მოსწონთ, ესულგულებათ ზოგიერთებს, მაგრამ ფიქრიან კაცს მაღალი ღირსების განზრახვისთვის არ განაწყობენ. ჩემთვის გევრად უფრო დამატკბობელი და დამათრობელია საყვარელ ალერსიან ყმაწვილქალთან მასლაათი. ამას გარდა, დიდად მატკბობს კითხვა, რაც კანთიელად წარმოგვადგენინებს, რასაც ვფიქრობთ და ვგრძნობთ, თანაც კიდევ გვეშველება ცხოვრების რთულ პრობლემათა გაგებაში, საერთოდ კაცობრივი ყოფიერების მიხვედრაში.

* * *

იმის მერე, რაც დავრწმუნდი, რომ სხვათა ყალბი თანაგრძნობა არაერთხელ მიმიღია ნამდვილ თანალმობად, ფრიად მაღელვებს ეს გამჩვენეობა, თუმცა, მეორე მხრივ, მესმის, რა სოციალური მნიშვნელობა აქვს.

* * *

მე არცროდის იმათ რიცხვს არ ვკუთნევივარ, ვისაც არ შეეძლო იმის მშვიდად ატანა, რომ სანაპიროს კბოდეზე ამოკვეთილ ინიციალებს ერთხელაც ზღვის ზვირთი წაშლიდა.

* * *

პატიოსნად თუ ვიტყვით, მეჩვენება, რომ ჩემში რაღაც არაჩვეულებრივი რამ ჩაბუდებულა, ის კი არა, იქნებ უცნაურიც. ალბათ, იმიტომ რომ სიყმაწვილეში ძალიან დინჯი და დაფიქრებული ვიყავი, უკვე მოზრდილი კი მშფოთვარე. იყო დრო, როცა ჩემში მარტო ცნობისმოყვარეობა და პატივმოყვარეობა ლაპარაკობდნენ. ხშირად მწყინდა, რომ გუნება მაინცდამაინც კეთილად არ იყო ჩემ მომართ განწყობილი, ვსაყვედურობდი, რატომ გენიოსად არ გამაჩინეთ-მეთქი. იმ დროიდან ვიცი, რომ სულაც არა ვარ გენიოსი, და თავადვე არ მესმის, რატომ მინდა აგრერიგად გენიოსობა. იქნებ ძალიან ნიჭიერიც არცა ვარ. ამისდა მიუხედავად, ჩემმა ზოგიერთმა პიროვნულმა თვისებამ, ხასიათმა განაპირობეს ჩემი შრომის უნარი. ასე რომ, ჩემი სუყოველი წარმატება სულაც არ უნდა აიხსნას იშვიათი რამ ინტელექტით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თვისებათა და თავისებურებათა ასეთი შეთავსება ფრიად ნაყოფიერია ჭეშმარიტებისკენ ნელი მოძრაობისთვის.

* * *

ყოველთვის ძლიერად ვგრძნობდი ნათესაობას ჩემს მოდგმასთან, ჯიშთან და განვამტკიცებდი ამ გრძნობას ჩემს შვილებში.

* * *

სინამდვილეში ერთი რამ საშინელება მჭირს: ისეთი უსასრულოდ ზარმაცი, წელანგარა ვარ, რომ არ ძალმიძს იმის ყოველმხრივ მოფიქრება, როგორ დავაღწიო თავი ამ მძიმე მდგომარეობას – უფულობას.

* * *

დიდ მეცნიერებას სულაც არა ხუმრობით წავექათინაურები, თუ ვიტყვი: „დიდო მეცნიერებავ, თქვენს უმორჩილეს ყმად ვრჩები, ღრმა მოწიწებას გამოვხატავ თქვენ მიმართ, ოღონდ უზნეო კაცად ნუ მიმიჩნევთ, ვიცი, არცროდის მეგობრულად არ მექცეოდით, არცროდის ნუგეში არ გიციათ. პასუხს არ მაძლევთ, როცა გწერ, არ გესმით, როცა გეხმიანები; სამაგიეროდ, ვიცნობ ერთ უცნობ ბანოვანს, რომელსაც ბევრად უფრო ვაფასებ, ვიდრე თქვენ, და ის ორმაგად დამაჯილდოებს მსახურებისთვის. იმას მხოლოდ ერთი მსახური ჰყავს და არა თქვენსავით ათასი. მიხვდებით, რომ ახლა თავს ვუძღვნი არამომთხოვნ, მოწყალე ბანოვანს, კეთილად მომიხსენიებდე, მე კვლავ დავბრუნდები. მართას უნდა მივწერო, შევეხმიანო“.

* * *

...მე მუდამ დიდი ხალისითა და სიამაყით აღვიქვამდი ჩემს ებრაელობას, თუმცაღა ჩემი დამოკიდებულება ყოველი რელიგიის მიმართ, ჩვენი ჩათვლით, კრიტიკულად ნეგატიურია.

* * *

რა თქმა უნდა, სულაც არა მწადს ჩემი ხალხის შეურაცხყოფა. მაგრამ რა ვქნა? მთელი ჩემი ცხოვრება იმას ვიცავდი, რაიც მეცნიერულ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა, მაშინაც კი, როცა ეს უსიამოვნო რამ იყო და, ასე თუ ისე, ეხიფათებოდათ ჩემს მიმდევართ. მე არ შემიძლია ცხოვრების უარყოფით გასრულება.

* * *

ვინც ჩემსავით უბოროტეს დემონთ აღვიძებს, ვინც საგოლოოდ ვერ დამშვიდებულა და დაშოშმინებულა, ვისაც სული უშფოთავს და ერკინება, ის მუდამ მზად უნდა იყვეს იმისთვის, რომ თვითონაც ვერ გადარჩება უვნებლად ამ ბრძოლაში.

თავი 2

დიდსა და გამოჩენილ ადამიანებზე

სილამაზე და ფიზიკური ძალა, იმ შურისდა მიუხედავად, რასაც ისინი იწვევენ, არცრას „სიდიადეზე“ არ მეტყველებენ.

* * *

არიან ცალკეული პიროვნებანი, რომელთაც თანამედროვეთა პატივისცემა არ აკლიათ, იმისდა მიუხედავად, რომ იმათი სიდიადე ეფუძნება ხალხის მიზნებისა და იდეალების სრულიად უცხო ხარისხსა და მიღწევებს. ადვილი სავარაუდოა, რომ მაინც მხოლოდ უმცირესობა აღიარებს ამ დიდ ადამიანთ, ხოლო უდიდეს უმრავლესობას იმათი ხსენებაც არა სურს.

* * *

დიდი ადამიანი ორი რამით ახდენს ახლობლებზე ზეგავლენას: თავისი პიროვნებით და თავის მიერ წამოყენებულ იდეათა წყალობით.

* * *

პაცობრიობის უდიდეს ნაწილს იმ ავტორიტეტის მოთხოვნილება აქვს, რომლითაც აღფრთოვანებაა შესაძლებელი, ვისაც შეიძლება რომ ქედი მოუხაროს, ვინც მეთაურია, ის კი არა, და იქნებ, სასტიკადაც ეპყრობა ადამიანთ.

* * *

...ინდივიდი ეუარება საკუთარ იდეალს და იმას სახალხო იდეალით ცვლის, ბელადში განხორციელებულს.

* * *

საზოგადოება ბელადებად და ხელქვეითებად რომ იყოფა, ადამიანთა თანდაყოლილი და აურიდებელი უთანასწორობაა.

* * *

ხელქვეითნი და დამოკიდებულნი ძალიან ბევრნი არიან, რომელთათვის ავტორიტეტია აუცილებელი, ვინც იმათ მაგივრად წყვეტს გადასაწყვეტს, ვისაც ისინი ემორჩილებიან პრაქტიკულად ნებაყოფლობით და უსიტყვოდ.

* * *

...ადამიანთ ყოველთვის კარგად არ ესმით თავიანთ დიდ მოაზროვნეთა ხმა, მაშინაც კი, როცა თითქოს მოკრძალებითა და მოწიწებით ექცევიან იმას.

* * *

გენიალურობა, როგორც ცნობილია, მიუწვდომელი და განუჭვრეტელია, ამიტომ გენიალურობის განმარტება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სუყოველი სხვა ვარაუდი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი გამოდგება.

* * *

ალექსანდრე მაკედონელი, უეჭველია, ერთ-ერთი ყოვლის უფრორე პატივმოყვარე ადამიანია, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწის ზურგზე. ტყუილად არ ჩიოდა, რატომ არ გამოჩნდა მეორე ვინმე ჰომეროსი, ვინც ჩემს საგმირო საქმეთ უმღერებდაო.

* * *

სუყოველივე აღფრთოვანების ღირსი მოსეს თვალში მიუწვდომელი იყო მიამიტი, გულუბრყვილო ხალხის გაგებისთვის.

* * *

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გმირი ჩვეულებრივ სულ უფრორე ზეიწევს, ოღონდ ადამიანი მოსეს გმირული ცხოვრება იქიდან დაიწყო, რომ თავისი სიმაღლიდან ისრაელის შვილთა შეწყნარებამდე დაეშვა.

* * *

დოსტოევსკის საპიროვნო ფორმულა ასეთია: ბისექსუალობისადმი წინასწარ განწყობილ ადამიანს განსაკუთრებული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მეტისმეტად მკაცრი მამის დამოკიდებულებისთვის.

* * *

უკვდავება მწერლისთვის, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ უამრავ უსახელო მკითხველს გულზე ეხატებოდეს.

* * *

„ძმები კარამაზოვები“ ერთ-ერთი უდიდესი რომანია როგორიც კი ოდესმე დაწერილა, ხოლო „დიდი ინკვიზიტორის ლეგენდა“ მსოფლიო მწერლობის ერთი უმაღლესი მიღწევათაგანია, რომლის გადაფასებაც შეუძლებელია.

* * *

დოსტოევსკის მრავალწახნაგოვანი პიროვნების განხილვა ოთხი მხრივ შეიძლება: როგორც მწერლისა, როგორც ნევროტიკისა, როგორც მოაზროვნე-ეთიკოსისა და როგორც ცოდვილისა.

* * *

რაც უფრო იდუმალია თქმულება, მით უფრორე საგულისყუროა პოეტისთვის.

* * *

...პოეტი იმასვე იქმს, რასაც მოთამაშე ბავშვი: ის ფანტასტიკურ სამყაროს ქმნის, რასაც საგულდაგულოდ აღიქვამს, სხვაგვარად თუ ვიტყვით, დიდძალ ენებას ახარჯავს, თუმცა მკაფიოდ გამოყოფს სინამდვილისგან.

* * *

სამწუხაროდ, ფსიქოანალიზი იძულებულია, რომ იარაღი დაყაროს მწერლის ოსტატობის ფენომენის წინაშე.

* * *

ის (პოეტი) რეალობამდე ეშვება და თავის მსმენელთ ფანტაზიამდე აღამაღლებს.

* * *

გუნებაში მკვლევარი ლეონარდო და ვინჩი ვერ ეთვისება მხატვარს, რომელიც ხელს უშლიდა და, ბოლოს და ბოლოს, დაჯაბნა კიდეც. გოეთეში ორივე ინდივიდუალობა ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობდა, ხანაც ერთი აჭარბებდა მეორეს.

* * *

არის დაუფარავი და აღიარებული პოეტი გოეთე, მთელი თავისი უამრავი ავტობიოგრაფიული ჩანაწერით, და არის კიდევ მეორე გოეთე, რომელიც გულმოდგინედ იფუთება იდუმალებაში.

* * *

კეთილმწყალოებელმა გუნებამ შესძღვნა მხატვარს თავისი ყოვლის უფრორე იდუმალის, თვითონ იმისთვისაც კი დაფარულ სულიერ სწრაფვათა ქმნილებათა გზით გამოხატვის უნარი, რომელი ქმნილებანიც ძლიერ აღელვებენ ამ მხატვრისთვის უცხო ადამიანთ, თუმცაღა იმათ არ ძალუძთ ახსნა, თუ რატომ ღელავენ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო,



— ავრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58

„მკვლელი“ პუტინი, ტრაპზე „დაცურებული“ ბაიდენი...

აშშ – რუსეთი დღეს და საქართველო

საქართველოში ინტერესით ადევნებენ თვალს აშშ-სა და რუსეთს შორის ბოლო დღეებში გაჩაღებულ გადაძახილ-გადმოძახილს, რომელიც პრეზიდენტ ბაიდენის მიერ რუსი კოლეგის „მკვლელად“ აღიარებით დაიწყო, საპასუხოდ რუსეთის მიერ ამერიკიდან ელჩის საკონსულტაციოდ გაწვევით გაგრძელდა, შემდეგ პუტინის მხრიდან ბაიდენისთვის ხისტი პასუხის გაცემა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხის პასუხი მოჰყვა. დამკვირვებელთა ნაწილში გაჩნდა განცდა, რომ პროცესი რიტორიკის ფარგლებს გასცდა და ბაიდენი რუსეთთან მიმართებაში წინასაარჩევნო დანაპირების აღსრულების გზას დაადგა. რეალურად რა პროცესს ვადევნებთ თვალს? რა გავლენა შეიძლება, მოახდინოს მოვლენათა მსგავსმა განვითარებამ საქართველოზე, რომლისთვისაც რუსეთი მტრული სახელმწიფოა, აშშ – სტრატეგიული პარტნიორი? ამავდროულად, ართულებს თუ არა საქართველოს მდგომარეობას რეგიონული კონტექსტი და ის შიდაპოლიტიკური კრიზისი, რომელიც უკვე თითქმის წელიწადია, სხვადასხვა სიმწვავით გრძელდება? ამოწურა თუ არა რესურსი რიგ კომენტატორთა მიერ „დაშოშმინების“ პოლიტიკად შეფასებულმა მიდგომამ? – ამ თემებზე „აქცენტი“ საგარეო ურთიერთობათა პოლიტიკის მკვლევრებს თორნიკე შარაშენიძესა და გიორგი გობრონიძეს ესაუბრა.

რა ხდება?

გიორგი გობრონიძე იზიარებს შეფასებას, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობა დაპირისპირების ახალ ფაზაში გადავიდა. საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტი ამ კონტექსტში ჯოზეფ ბაიდენის წინასაარჩევნო დანაპირებს იხსენებს:

„საგარეო პოლიტიკის კუთხით ბაიდენის ერთ-ერთი განაცხადი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ არჩევნებში გაიმარჯვებდა, რუს ხალხს პუტინის აგრესიისგან გაათავისუფლებდა. შესაბამისად, მოსალოდნელი იყო, რომ მოსკოვის მიმართ ბაიდენის ადმინისტრაციის მიდგომა საკმაოდ ხისტი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში არ უნდა ველოდოთ რაიმე ტიპის „გადატვირთვას“, რომელსაც თავის დროზე „დემოკრატები“ ახორციელებდნენ. ჩვენ თვალს ვადევნებთ ურთიერთობების დაძაბვის ახალ ფაზას და მას უკვე ჰქონდა პრაქტიკული გამოვლენა: აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა. ამ მხრივ საუბარია, უპირველესად, ორმაგი დანიშნულების ტვირთებზე, რომელიც შეიძლება, ქიმიური იარაღის საწარმოებლადაც იქნას გამოყენებული“.

მკვლევრის პროგნოზით, დაპირისპირების ახალი ფაზა გავლენას იქონიებს აშშ-ის ურთიერთობებზე ახალ პარტნიორებთან – ევროპის აღმოსავლეთ რეგიონებთან, მათ შორის – ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, პოლონეთთან, საქართველოსთან.

„ცხადია, ამას მოსკოვიც აცნობიერებს და ეს აისახება რუსეთის მოქმედებაზე ამერიკის მოკავშირეების მიმართ. ამ შემთხვევაში უკრაინა და საქართველო ყველაზე დაუცველები არიან, რადგან ბალტიისპირეთის სახელმწიფოები ნატოს ქოლგის ქვეშ იმყოფებიან, ჩვენ კი აღმოვჩნდით არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში და ქართული პოლიტიკური კლასის მოქმედებები ორმაგად საფრთხილოა: კრიზისის კიდევ უფრო გაჭიანურება ქვეყანას იმაზე ძვირი დაუჯდება, ვიდრე რომელიმე ქართველ პოლიტიკოსს შეიძლება, წარმოედგინოს“, – თვლის გობრონიძე.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი **თორნიკე შარაშენიძე** კი მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარებას არ ელის, ფიქრობს რა, რომ ბაიდენის პოზიციონირება პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და მედიის კრიტიკულ განწყობასა და შესაბამის მოთხოვნაზე ერთგვარი რეაგირება იყო:

„აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთის მიმართ სანქციებს დიდი შედეგები არ მოჰყვა. დამატებითი „ჭიდაობა“ რუსეთთან, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის, მით უფრო, რომ არსებობს ჩინეთი და ის, საბოლოო ჯამში, ამერიკისთვის გაცილებით დიდი საფრთხეა. ამდენად, ვფიქრობ, რაც ბოლო დღეებში ვიხილეთ, ისტორიას შემორჩება, როგორც საინტერესო „ქეისი“.

როგორი უნდა იყოს პოლიტიკა?

გიორგი გობრონიძე არ იზიარებს შეფასებას, რომ საქართველო ბოლო დროს ცალსახად კაპიტულანტურ პოლიტიკას ატარებდა. მას არგუმენტად ახლო წარსულიდან რამდენიმე ფაქტი მოჰყავს: ასოცირების შეთანხმება, ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა, ნატოსთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, აშშ-ისგან ლეტალური იარაღის მიღება, სერიოზული სამხედრო

წვრთნები, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები ვაზიანის სამხედრო ბაზიდან.

ამავდროულად, მკვლევარი პრობლემებზეც მიუთითებს, რომელიც ძირითადად თანმიმდევრულობასა და პარტნიორებთან მიმართებაში პროაქტიური პოლიტიკის დეფიციტს უკავშირდება:

„პარტნიორებს არ ვთავაზობთ საკუთარ დღის წესრიგს. მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ჩვენმა დიპლომატიამ, მთლიანად პოლიტიკურმა კლასმა შეაფასოს ვითარება, სწორად დაინახოს, რასთან გვაქვს საქმე, რადგან აშშ-სა და რუსეთს შორის პროცესი ცივი ომის, სიტყვიერი დაპირისპირების, შეხლა-შემოხლის ფარგლებს სერიოზულად გასცდა და მნიშვნელოვანია ჩვენი სიმტკიცე, სახელმწიფოებრივი სტაბილურობის შენარჩუნება: საქართველოში ნებისმიერი პოლიტიკური რყევები არა მხოლოდ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, პირველ რიგში, თავად ჩვენ გვაზიანებს და მთლიანად სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში შექმნის საფრთხეს“.

თორნიკე შარაშენიძეს კი „დაშოშმინების“ პოლიტიკის კრიტიკოსებთან შემხვედრი კითხვა აქვს: რა ალტერნატივა არსებობს?

„ნატოში ჯერ არ გვიღებენ, არანაირი ალიანსის წევრები არ ვართ, არ გვყავს არავინ, განსხვავებით იგივე აზერბაიჯანისგან, ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოში არიან და ამ ვითარებაში რა გზა გვრჩება? ვფიქრობ, თუ ტყუილად არ აღიზიანებ, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ამ დროს ქვეყანა შიგნიდან უნდა ძლიერდებოდეს, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება“.

შარაშენიძის აზრით, მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რისთვის არის მზად საქართველო, არამედ ის, თუ რისთვის არიან მზად ამერიკელები – არიან კი მზად, საქართველოს უსაფრთხოება საკუთარ თავზე აიღონ?

„ვფიქრობ, ამ ეტაპზე ამერიკა რუსეთთან კონფრონტაციისთვის მზად არ უნდა იყოს, ხოლო თუ არის, კი ბატონო, დაველაპარაკოთ და ჩადგას სამხედრო ბაზა (საქართველოში – რედ.). მაგრამ მგონია, რომ საქმე ჯერ აქამდე არ მისულა. ეს შეუძლებელი, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილება სჭირდება: აშშ-მა უნდა გადაწყვიტოს, რომ ეს უღირს და ამისთვის რესურსი გამოყოს. საკმარისი არა ჩვენი, არამედ მისი გადაწყვეტილება იქნება“, – ამბობს შარაშენიძე და იქვე დასძენს, რომ თუ ამ ეტაპზე მსგავსი მზაობა არაა, საქართველოს რჩება მხოლოდ მანევრირების გზა: თავი გადაირჩინოს, დაიცადოს, არ გააღიზიანოს რუსეთი, თან შეინარჩუნოს დასავლური კურსი.

რისკები

„ძვეყანაში შექმნილი კრიზისი არ იძლევა საშუალებას, სახელმწიფო ინსტიტუტებმა გამართულად იფუნქციონირონ. საჭირო, საკანონმდებლო ორგანოს ჰქონდეს შესაძლებლობა, მოახდინოს ეფექტური და მოქნილი რეაგირება, მათ შორის – ქვეყნის შიგნით არსებულ გამოწვევებზე“, – თვლის **გობრონიძე** და იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მაკროეკონომიკური პარამეტრებით საქართველოს კონსტიტუცია ირღვევა, კერძოდ, ქვეყნის საგარეო ვალმა კანონმდებლობით დაშვებულ ზღვარს გადააჭარბა და არსებული ვითარება არ იძლევა იმის პროგნოზირების შესაძლებლობას, რომ ვალი კიდევ მეტად არ გაიზრდება.

„განახევრებული ინვესტიციების ფონზე საკმაოდ სერიოზული განხილვის საკითხია ცალკეული ეკონომიკური პროექტები; ქვეყანაში ღრმავდება კრიზისი და ვინ უნდა ჩადოს ასეთ ქვეყანაში ინვესტიციები, რამ უნდა შექმნას სამუშაო ადგილები? გარდა ამისა, ვხედავთ, საქართველოს გარშემო როგორი არაკეთილსაიმედო რკალი იკვრება: პანდემიის მიუხედავად, რეგიონში რუსული სამხედრო „აღმშენებლობა“ გრძელდება, რაც ჩვენთვის მუდმივი სამხედრო რისკების წყაროდ რჩება; სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით მთლიანად შეიცვალა რეგიონულ-პოლიტიკური კლიმატი, ვხედავთ ირანის მზარდ დაინტერესებას რეგიონში მიმდინარე პროცესებით, საუბარი იყო იგივე „ექვსეულის“ ფორმატზე, რაც, ჩემი ხედვით, რეალურად, „სამეულის“ ფორმატია და გავლენის სივრცეების განაწილებას გულისხმობს“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გობრონიძე არ თვლის, რომ ქვეყანას განგრძობად კრიზისში, ორივე მხრიდან უკომპრომისობის მოცემულობაში ცხოვრების გაგრძელების ფუფუნება აქვს:

„ეკონომიკა თავზე გვემხობა, ამას ემატება საგარეო კლიმატი, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი გადადის რუსეთთან დაპირისპირების ახალ ფაზაში, რაც ჩვენზეც აისახება და არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ეს პროცესი გვერდს აგვივლის. ეს ყველაფერი მოითხოვს სიმშვიდეს, ინსტიტუტების მოქნილობას, ექსპერტიზის მაღალ ხარისხს, პოლიტიკური კლასის სრულ ჩართულობას კონკრეტულად ამ საფრთხეების წინააღმდეგ!“.

თორნიკე შარაშენიძის აზრით კი, თუ მაღალი რანგის ევროპელი დიპლომატების ჩართულობით წარმოებული მედიაციის პროცესი შედეგს ვერ გამოიღებს, ეს ქვეყნის მიმართ პარტნიორების დამოკიდებულებაზეც აისახება და ამაზე პასუხისმგებლობა ორივე დაპირისპირებულ მხარეს დაეკისრება:

„ჩაგვთვლიან თინეიჯერობაში ჩარჩენილ მუტრუკად! სანქციებს არ ველი, მაგრამ ეს განწყობაზე აისახება, „აზრი არ აქვს, ამათგან არაფერი გამოვაო“. ინტეგრაციის პროცესისთვის, მათ შორის, ეკონომიკური განვითარებაც ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ კი ამით ძალიან ჩამოვრჩებით ევროკავშირის სტანდარტებს. მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატია. გასაგებია, რომ ეკონომიკური განვითარება ძალიან რთულია, მით უფრო – პანდემიურ და კრიზისულ ვითარებაში, მაგრამ დემოკრატიულ განვითარებას პოლიტიკური ნება სჭირდება, რაც არ ჩანს. ბუნებრივია, ეს უფრო მეტად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ოპოზიციაც კითხვებს უჩენს დასავლეთს“.

შესაძლებლობა

გიორგი გობრონიძის ხედვით, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება საქართველოში აშშ-ის წარმოდგენილობის გაძლიერებით რუსული რისკების დაბალანსების შესაძლებლობას იძლევა:

„დაახლოებით იგივე ნაბიჯები გადავდგათ, რაც ფიდელ კასტროს კუბამ, როდესაც კარიბის ზღვაში საბჭოთა კავშირი ცდილობდა ამერიკული გავლენის დაბალანსებას: აშშ თუნდაც გეოგრაფიული მოცემულობიდან გამომდინარე, ვერასდროს იქნება კავკასიის რეგიონში ისეთი აქტიური, რომ ამან უკიდურესად ასიმეტრიული პარტნიორობა გამოიწვიოს, საფრთხე შეუქმნას საქართველოს სუვერენიტეტსა და მისი დამოუკიდებულობა ფორმალურ ხასიათამდე დაიყვანოს. იმავდროულად, აშშ საკმარისად ძლიერია, რომ რუსეთს არ მისცეს უფლება, რეგიონში ერთპიროვნულ ჰეგემონად იქცეს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს მოცემულობა, დასავლელ პარტნიორებს ვაჩვენოთ, რომ არა მხოლოდ მომხმარებლები ვართ უსაფრთხოების, არამედ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული სივრცის გადარჩენას შეუძლია, ხელი შეუწყოს, განამტკიცოს, მათ შორის, ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების გარემოც“.

გია გაჩეჩილაძე: საქართველოს ახასიათებს აქტიური მეწყერული პროცესები...

„საერთოდ, საქართველოს ახასიათებს ძალიან აქტიური მეწყერული პროცესები და ძალიან დიდი ტერიტორიები არის მეწყერსაშიში“, — ასე აფასებს „მწვანეთა პარტიის“ გენერალური მდივანი **გია გაჩეჩილაძე** თბილისში, ვაშლიჯვრისა და ინუცუბიძის დამაკავშირებელ გზასთან მდებარე ფერდობზე მეწყრული პროცესის გააქტიურებას.

— ბატონო გია, როგორ ფიქრობთ, რამდენად საშიში და სახიფათოა არსებული მდგომარეობა?

— ამ ტერიტორიებზე განლაგებულია ძალიან დიდი დასახლებული პუნქტები. ეს გეოლოგიურად და გეომორფოლოგიურადაც დიდი ხანია დამტკიცებულია, იკვლევენ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან და ამის რუკებიც არსებობს. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო სამშენებლო სამუშაოების ჩატარების და გზების გაყვანის დროს, რადგან შეიძლება მეწყერის საშიშროება დაიწყოს.

საქართველოს მასშტაბით, სადაც საქმიანობა ხორციელდება, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ გეოლოგიური დასკვნები არსებობდეს. თუმცა, რადგან საქართველოს ძალიან დიდი ტერიტორიაა მეწყერაქტიური, ეს არ ნიშნავს, რომ შევაჩეროთ გზების მშენებელობა ან სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საქმიანობა შევწყვიტოთ. არსებობს ტექნოლოგიები, რომლის საშუალებითაც სეისმურ აქტიურ ზონებშიც შეიძლება მოხდეს გარკვეული მშენებლობები.

— ვიცით, რომ ადგილზე მძიმე ტექნიკის გამოყენებით გზის დაგება მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ამხელა ნაპრალის გაჩენა, უკავშირდება თუ არა ეს იმ სამუშაობს, რაც ადგილზე მიმდინარეობს?

— არ არის გამორიცხული, თუმცა, მე ზუსტად არ შემიძლია ამ დასკვნის გამოტანა. კვლევები ჩატარდება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. შეიძლება იყოს დაკავშირებული იმ სამუშაოებთან, შეიძლება არც იყოს და ეს გახლდეთ ბუნებრივი პროცესი. დაველოდოთ იმ დასკვნებს, რომელიც იქნება.

საზღვარგარეთიდან ჩამოდიან ექსპერტები, კომპლექსურად — ქართველები, გერმანელი თუ ავსტრიელი ექსპერტები ერთად დადებენ დასკვნას და იმ ღონისძიებების გეგმასაც წარმოგვიდგენენ, რომელიც უნდა გატარდეს, რომ უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი.

— თქვენი აზრით, დაწყებული პროცესი გაგრძელდება? ამ შემთხვევაში რა შედეგებამდე მივალთ და მიიღებს თუ არა ეს უფრო დიდ მასშტაბს?

— მეწყერი თუ აქტიურია და მოძრაობს, რა თქმა უნდა, ნაპრალი გაიზრდება და შეიძლება მეწყერი ძალიან დიდ ტერიტორიაზე ჩამოვიდეს. საკმაოდ დიდ რაოდენობაზე, ნახევარ მილიონ კუბმეტრზეა საუბარი და ეს საკმაოდ დიდი რაოდენობა არის. დაკვირვება მიდის მეწყერსა და მოძრაობაზე. ეს ყველაფერი საფრთხის შემცველია, რა თქმა უნდა.

ნიკო ჩოხელი

ყველაზე მასშტაბური ეკოდანაშაული თბილისში — დიღმის ჭალები ქრება!

საქართველოს ნარჩენების კოდექსის მე-8 მუხლით, „მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაც დანაგვიანდა, უფლებამოსილია, მოსთხოვოს დამნაგვიანებელს ამ ტერიტორიის დასუფთავება. თუ დამნაგვიანებლის დადგენა ან მოძიება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს შეუძლია მის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება ტერიტორიის მფლობელს დააკისროს“.

თუ დაბინძურებული ტერიტორია კერძო საკუთრებაში არაა, მისი დასუფთავების ვალდებულება თავად მუნიციპალიტეტს ეკისრება.

„ჩვენი დაკვირვებით, სატვირთო მანქანები სამშენებლო ნაგვით მოდიოდნენ, ამ ნაგავს კარიერში ყრიდნენ, მაშინვე ხრეშით იტვირთებოდნენ და მიდიოდნენ. ეს ფინანსურად ძალიან მომგებიანია. რადგანაც მერიამ ვერ აღმოაჩინა, ვინ ყრის ნაგავს, ვისიც არის ტერიტორია, იმან უნდა დაასუფთაოს. ნაწილი არის მერიის საკუთრება, ნაწილი — განათლებისა და მეცნირების სამინისტროსი. ჩვენ მერიას მივმართეთ, რომ ზომები მიეღო და განათლების სამინისტროსთვისაც დაევალებინა, მაგრამ არაფერი გაუკეთებია. თუ ისევ არაფერი გაკეთდა, სასამართლოს მივმართავთ“, — ამბობს **ანა ტრაპაიძე**.

რატომ არის დიღმის ჭალები მნიშვნელოვანი?!

ჭალის ტყეები ისრუტავს მდინარის კალაპოტიდან გადმოსულ წყალს, რითაც წყალდიდობის პრევენცია ხდება. გარდა ამისა, ჭალა უამრავი იშვიათი ფრინველისა თუ ცხოველის საცხოვრებელი ადგილია. აქ ბინადრობს წავი, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი. წავების ჰაბიტატის შესანარჩუნებლად 2020 წლის ბოლოს ჭალის კუნძული ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორიაც კი გახდა.

აქვე ბინადრობენ ბერნის კონვენციით დაცული ცისფერი ალკუნი, დიდი თეთრი ყანჩა, პატარა ყანჩა, ღამის ყანჩა, ჭაობის კუ და ხმელთაშუაზღვეთის კუ, რომელიც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი.

შაგრენის პარკი

2015 წელს თბილისის მერიამ დიღმის ჭალები შეამჩნია და გადაწყვიტა, იქ ქალაქის ყველაზე დიდი პარკი გაეშენებინა. თავიდან პარკს 50 ჰექტარი უნდა დაეკავებინა, 2019 წელს კი ეს ფართობი 15 ჰექტარამდე შემცირდა.

დაპირებიდან 6 წლის შემდეგაც კი პარკის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. არადა, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოები 2020 წელს უნდა დასრულებულიყო.

ნაგავსაყრელი შუა ქალაქში

დიღმის ჭალებს დღეს უამრავი პრობლემა აქვს, ამ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვებით დაწყებული, განაშენიანებით დასრულებული, თუმცა ამჯერად ყურადღებას უკანონო ნაგავსაყრელებზე შევაჩერებთ.

სამშენებლო ნაგავს დიღმის ჭალაში ყრიან

დიღმის ჭალების უნიკალური ეკოსისტემა ნარჩენების განთავსების ადგილად არის ქცეული. ადგილობრივმა აქტივისტებმა დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ დაბინძურებულია 40 ჰექტარამდე ტერიტორია ზედ განთავსებული 400 000 კუბურ მეტრზე მეტი ნარჩენით, ანუ ჭალის ტყის უდიდესი ნაწილი ნაგვის გორებშია ჩაფლული.

„ხეების ფესვები გაშიშვლებულია, საკვების გარეშეა დარჩენილი და გახმობა ემუქრება. მტკვარში ჩაყრილია ნარჩენები, რომელიც, შესაძლოა, იყოს კანცეროგენული“, — ამბობს **მარიამ ხვედელიძე**.

ნაგავსაყრელი დიდ საფრთხეს უქმნის ცხოველებსაც, ის აბინძურებს, ასევე, მტკვარს, რადგან ნარჩენები წვიმას მდინარეში ჩააქვს, ხანდახან კი ნაგავს პირდაპირ წყალში ყრიან.

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ დიღმის ჭალების ნაგვისგან გასათავისუფლებლად ათობით ოქმია გამოწერილი, რომლებიც უკვე სააღმსრულებლო სამსახურს გადაეცა. მერიის ზედამხედველობის სამსახურში ირწმუნებიან, რომ ნაგავსაყრელთან დაკავშირებით ისინი ზომებს მიიღებენ.

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი

დიღმის ჭალების უნიკალურ ეკოსისტემას მიზანმიმართულად ვანადგურებთ. ჭალების ნაცვლად, წითელ წიგნში შეტანილი ცხოველები ნაგავსაყრელებზე აღმოჩნდნენ.

დიღმის ჭალები თბილისში, ოლიმპიური სოფლის მიმდებარედ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ჭალა და მისი მიმდებარე ტერიტორია სულ 190 ჰექტარია, საიდანაც 67 ჰექტარი დღეს კერძო საკუთრებას წარმოადგენს, 123 ჰექტარი კი სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაშია.

ბოლო წლების განმავლობაში და, განსაკუთრებით, 2015 წლიდან დიღმის ჭალების ტყეები შეუქცევლად ნადგურდება. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ამ ტერიტორიაზე მშენებლობები, ინერტული მასალის მოპოვება და ასე შემდეგ.

„ეს ყველაზე მასშტაბური ეკოდანაშაულია თბილისში“, — ამბობს მკვლევარი ანა ტრაპაიძე, რომელმაც მარიამ ხვედელიძესთან ერთად ეს საკითხი შეისწავლა. აქტივისტები ცდილობენ, დიღმის ჭალების ეკოლოგიური კრიზისის გადაჭრის გზები იპოვონ.

◎ ლეკვი ლომისა...

ახალ ამპლუაში

ბრიუსელიდან დაბრუნებულმა პრემიერმა ღარიბაშვილმა ხელი მოაწერა დადგენილებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრად ისტორიაში პირველი ქალის თეა წულუკიანის დანიშვნის შესახებ. ვიმედოვნებთ, ეს ნაბიჯი მხოლოდ გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით არ გადადგმულა, რისკენაც დაბეჯითებით მოგვიწოდებს ცივილიზებული სამყარო.

მოგეხსენებათ, ახალი სტრუქტურა ოთხსუბიექტიანი მონსტრის განახევრების შემდეგ შეიქმნა, თუმცა, მთლად გამეჩხერებასთანაც არა გვაქვს საქმე, რადგან, მართალია, განათლება და მეცნიერება ცალკე უნდა განვითარდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, წულუკიანის უწყებას მესამე რგოლი – ახალგაზრდობის სააგენტო დაუმატეს. ასე რომ, კვლავ აქტუალურად რჩება კითხვა – რამდენად გასწვდება ქართული სპორტის ღირსეულად გაძღოლის საქმეს დარგის დებიუტანტი ლიდერი.

არადა, საზრუნავი რომ თავზესაყრელი დახვდა, ოლიმპიური სეზონის მნიშვნელობაც მეტყველებს, რომ არაფერი ვთქვათ სალიცენზიო ტურნირების სიუხვეზე, „ქართული ოცნების“ მთავრობის ყველაზე სტაჟიანი წევრის ახალ ასპარეზზე, საკუთარ მინდორზე საბრძოლო ნათლობა კი უკვე მომავალ კვირაში შედგება, როცა თბილისი 30 პროცენტით შევსებული ტრიბუნებით ზედიზედ უმასპინძლებს ძიუდოისტთა გრანდ-სლემსა და ფეხბურთელთა საკვალიფიკაციო შესარჩევ მატჩს ერთ-ერთ გრანდ ესპანეთთან.

როგორც იცით, კარგად დაწყება საქმის ნახევარია, თუმცა, შორს არც საგაისო ევრობასკეტისთვის სამზადისია.

გზა დავულოცოთ ახალ მინისტრს!

◎ გამგეზი გაიგეზს!..

სად გვყავს დასაკარგავი ინვესტორი?

თითქოს ნიკოლოზ ბასილაშვილის ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებული და სარაგბო-საარჩევნო სკანდალები არ კმარიდეს, გასული კვირის გახმაურებულ სპორტულ ამბად ტარიელ ხეჩიკაშვილის გადაწყვეტილება იქცა, რომელმაც პროფესიული ფეხბურთიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

ბუნებრივია, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი კლუბის – ყველა ეროვნული ტიტულის მომგები „საბურთალოს“ მეპატრონე სამაგალითო ინვესტორისა და სპორტის ყოფილი მინისტრის მიერ გადადგმულმა ასეთმა მოულოდნელმა ნაბიჯმა არაერთი კითხვა გააჩინა, ამიტომ ვითვალისწინებთ გულშემატკივართა დიდი არმიის ცნობისმოყვარეობას და ვიდრე ემოციები დაცხრება და ცივი გონებით გაკეთებულ განმარტებას მოვისმენთ, მანამდე ცხელ გულზე ტელეინტერვიუებში გამოთქმულ პოზიციას გავეცნოთ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონი ტარიელი ბოლომდე არ ტოვებს საყვარელ საქმეს და აპირებს საკუთარი ძალა, ენერგია და საერთაშორისო კავშირები „საბურთალოს“ საკლუბო აკადემიის განვითარებას, ახალგაზრდა ტალანტთა წინსვლას მოახმაროს.

„ეს უკავშირდება არა მხოლოდ თბილისის „დინამოსთან“ 3:4 წაგებულ ერთ თამაშს და მსაჯებს, არამედ საფეხბურთო მოხელეებსაც (სავარაუდოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს – რედ.). ჩვენ მათ საქმის კურსში ვაყენებდით და ამაოდ ველოდით რეაგირებას. რაც ხდება, ყველა ხედავს.

„საბურთალო“ გააგრძელებს პროგრესს. იქ რჩებიან ჩემი პარტნიორები, ძალიან კვალიფიციური კადრები, კლუბის თანამშრომლები. ვიმედოვნებ, მომავალში მაინც გაუფრთხილდებიან იმ ხალხს, ვინც ქართულ ფეხბურთში მოღვაწეობს და ფინანსებს ხარჯავს.

„საბურთალო“ ჩემი სიცოცხლეა. შვილმა მითხრა – ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვინმე გარდამეცვალაო. აი, ამ დონემდე მიმიყვანეს. ევროპულ სტანდარტებს ითხოვენ, მაგრამ ისინი ჩვენ, მენეჯმენტს გვეხება, თვითონ კი „გრუზინულად“ გვექცევიან. თავიანთთვის რაღაც სივრცე შექმნეს და არიან აღნიშნულ ვაკუუმში.

დარწმუნებული ვარ, აწი წამოვა მესიჯები, ჩემი გინება. მე რას მეჯიბრები, დალოცვილო, იმის მეათედი მაინც გააკეთე, რაც მე გავიღე ქართული ფეხბურთისთვის.

კი ბატონო, მივიღებ შენიშვნებს, იქნებ რამე მეშლება? მოდი, მასწავლე, გამოიყენე ჩემი რესურსი და ერთად ავაშენოთ სამამულო ფეხბურთი. უამრავი საკითხია, რომელიც საფეხბურთო წრეებში უნდა გადაწყდეს. ჰკითხეთ კლუბების პრეზიდენტებს, ამაზე ყოველთვის ვსაუბრობდი.

მესმის, შეიძლება არ მოსწონთ ჩემისთანა პირში მთქმელი პიროვნება და დისკომფორტს ვუქმნი მათ. იმათ მაინც მოეფერონ, ვინც რჩება და ვისაც შეიძლება ფეხბურთში მოსვლის სურვილი გაუჩნდეთ!..“

◎ ლიცენზიატი

რაჭიდან - ტოკიოში



მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ავთანდილ კენჭაძე ჩვენი ერთ-ერთი რეალური ოლიმპიური იმედია, რომელიც სტაბილური შედეგებით გამოირჩევა, ამიტომ არ გაგვკვირვებია, გენო პეტრიაშვილისა და ელიზბარ ოდიკაძის შემდეგ პირველმა სწორედ მან რომ მოიპოვა ტოკიოს თამაშების საგზური თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის.

74 კგ-ში მოასპარეზე ახალგაზრდა ამბროლაურელ ფალავანს ბუდაპეშტში გამართული ევროპის რეგიონის სალიცენზიო ტურნირის წილისწყრისას კი გაუმართლა, მაგრამ, მოგეხსენებათ, „კარგი ბადის“ ფაქტორსაც გამოყენება უნდა, „ჯვაროსნის“ ღირსებას კი ის წარმოადგენს, რომ უფლის ბოძებული შანსით მშვენივრად ისარგებლა.

მან იაპონური ფორუმისკენ ბილიკის გაკვალვა საკვალიფიკაციო რაუნდში უკრაინელი დენის პავლოვის ძლევით დაიწყო, ხოლო მეოთხედფინალში გადასასვლელი პრინციპული ბრძოლა სომეხ პარუირ ალიხანიანს მოუგო. შემდეგ იყო წარმატებები ბერძენთან და ბულგარელთან, რომელთანაც თავიდან 0:6-ს აგებდა, ფინალში კი აზერბაიჯანელი მეტოქე არ გამოუცხადდა, რადგან პროგრამა-მინიმუმი მასაც შესრულებული ჰქონდა.

დავძენთ, რომ ოლიმპიურ ჩემპიონ ვლადიმერ ხინჩეგაშვილს (65 კგ) უნგრეთში დაკავებული III ადგილი ლიცენზიისთვის არ ეყო, ხოლო კლასიკოსთაგან ეს უფლება რამაზ ზოიძემ და ლაშა გობაძემ მოიპოვეს.

◎ რაგბი ევროპა

საფრანგეთის მისადგომებთან

რა ცოტა რამ უხარია ადამიანს. კონტინენტზე მტაცებელი ცხოველი არ დავტოვეთ ცოცხალი, რადგან ზედიზედ დავამარცხეთ „ლომები“ (პორტუგალია), „მგლები“ (ესპანეთი) და „დათვები“ (რუსეთი) – უკვე ხუმრობის ხასიათზე დადგნენ ტელეკომენტატორები ნიკა ჩალათაშვილი და ლადო კილასონია რუსეთ-საქართველოს სარაგბო ომის ბოლო წუთებზე, ხოლო ცოტა უფრო ადრე ისტორიული წიაღსვლისთვის მოიცალეს – კალინინგრადი პოლონეთსა და ლიეტუვას შორის ჩაკვეხებული ძირძველი პრუსიული ტერიტორიაა, რომელიც პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ეკუთვნის რუსეთსო.

არადა, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ქართულ სარაგბო თემში ამ ბოლო დროს განვითარებული სკანდალური მოვლენებისა და ჩვენს გუნდში მიმდინარე თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის გამო ლევან მაისაშვილის შეგირდთა ჩრდილოურ ვოიაჟს არცთუ ოპტიმისტური განწყობით ველოდით.

საბედნიეროდ, „ბორჯღალოსნებმა“ დაგვარწმუნეს, რომ გადახალისებული შემადგენლობითაც შესწევთ პრინციპული ბრძოლების მოგებისა და ნებისმიერ ვითარებაში საკუთარი ღირსებების წარმოჩენის უნარი, თანაც – ბონუს-ქულით.

რუსეთი - საქართველო 6:23

პირველი ტაიმი 3:16

ლელო: ტაბუცაძე, აბჟანდაძე, ნინიაშვილი. **საჯარიმო** – 2, **გარდასახვა** – 1: აბჟანდაძე. **მსაჯი:** ანდრეა პიარდი (იტალია). **არჩათვლილი ლელო**: გაჩეჩილაძე.

ბიჭებთან ერთად, ახალ ამპლუაში პირველ წარმატებას ვულოცავთ კულტურისა და სპორტის მინისტრს თეა წულუკიანსა და სრკ-ის პრეზიდენტს იოსებ ტყემალაძეს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ, ბოლოსდაბოლოს, სტუმრებმა ნავსი გატეხეს და უკანასკნელ ოთხ შეხვედრაში პირველად მოიგეს პირველი ტაიმი. და, რაც მთავარია – თითქმის უკვე მოიპოვეს 2023 წელს საფრანგეთში გასამართავი მსოფლიო თასის საგზური. ეს უფლება ოფიციალურად 28 მარტს 15 საათზე „მიხეილ მესხის სტადიონზე“ რუმინულ „მუხის ფოთლებთან“ დანიშნულ არანაკლებ მძიმე მატჩში უნდა გავიფორმოთ, რომელსაც რაგბი ევროპის ეგიდის გარდა, სხვა, ასევე პრესტიჟული დატვირთვაც აქვს, ვინაიდან, ტრადიციისამებრ, 30 პროცენტით სავსე ტრიბუნების თანხლებით გათამაშდება ანთიმოზ ივერიელის თასი.

რაც შეეხება მასპინძლებს, მათმა უელსელმა თავკაცმა ლი ჯონსმა, ეტყობა კარგად შეგვისწავლა და მეტისმეტად დამუხტული მეტოქე დაგვახვედრა, მაგრამ 25-ე ცდაზე 23-ე მარცხისგან მაინც ვერ გადაგვირჩა, რადგან, როგორც თითქმის ყოველთვის, ჩვენი კოზირები – ამჯერადაც, განსაკუთრებით, ხელით კვალიფიციური თამაში, უფრო ფასეული აღმოჩნდა. ისიც სათქმელია, რომ „დათვებს“ ტრავმირებული კაპიტანი სტეზინი აკლდათ, მაგრამ მის არყოფნაშიც კარგახნის განმავლობაში შეუპოვარ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით. გამორჩეულად მეორე ნახევრის სტარტზე გაგვიჭირდა, მაგრამ ნერვების ომს მე-60 წუთზე წერტილი შეხვედრის საუკეთესო მორაგბის დავით ნინიაშვილის დიდოსტატურმა ლელომ დაუსვა. საერთოდაც, ეს უნიჭიერესი ყმაწვილი ფულბეკი მაღალ ბურთებსაც იგებდა, ბოჭვებსაც ძარღვიანად ასრულებდა და ჯიგრიანი ბრძოლითაც მიიქცია ყურადღება.

◎ ლეგიონერი

შენგელიას სასტარტო...

კი ვწერდით, ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი ცსკა კრიზისშიაო, მაგრამ ზედიზედ სამი წაგების შემდეგ არმიელებმა იქ გაისროლეს, სადაც ყველას უჭირს და ნაკლებად სავარაუდო იყო.

საუბარია ესპანეთის დედაქალაქში „სამეფო კლუბთან“ მოპოვებულ წონიან გამარჯვებაზე – 96:89, რაშიც **თორნიკე შენგელიამ** ღირსეული წვლილი შეიტანა – 17 წუთში 14 ქულა, 2 მოხსნა და თითო ჩაჭრა – პასი. იგი, როგორც წესი, სასტარტო ხუთეულში იყო.

მოსკოველთა ქართველმა ლეგიონერმა განსაკუთრებით შთამბეჭდავად პირველ მეოთხედში ითამაშა, რომელშიც პარტნიორებს 11 ქულა შეაწია, მაგრამ პერსონალური შენიშვნების სიმრავლის გამო დარჩენილი დროის უმეტესი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, ხოლო მოგვიანებით მეხუთე ჯარიმაც მიიღო და საერთოდ გამოეთიშა ბრძოლას.

სტუმართა შორის უკეთესი პირადი მონაგარი კლაიბერნსა (23ქულა) და ჯეიმსს (22 ქულა) ჰქონდათ, მადრიდის „რეალში“ კი 20 ქულით გამორჩეული რენდოლფი გახლდათ.

აღნიშნულმა წარმატებამ დიმიტრის იტუდისის გუნდს „მილანთან“ და „ეფესთან“ გათანაბრების საშუალება მისცა – 19-19 მოგება, ხოლო წამყვან პოზიციას 22 გამარჯვებით „ბარსელონა“ ინარჩუნებს, რომელმაც იტალიაში „არმანის“ სძლია – 72:56.

„ზენიტი“ – „ბასკონია“ 75:79, „ფენერბახჩე“ – „ჟალგირისი 84:61, „ალბა“ – „ოლიმპიაკოსი“ 80:84.

25 მარტი. ცსკა – „ცრვენა ზვეზდა“.

◎ ევროტურნირები

ელიტური წყვილები

ვენაში, უეფას შტაბ-ბინაში გამართულმა წილისყრამ პოპულარული საფეხბურთო ევროტურნირების მეოთხედფინალისტები ასე დააწყვილა.



ჩემპიონთა ლიგა

„ბაიერნი“ – „პარი სენ-ჟერმენი“, „რეალი“ – „ლივერპული“, „სიტი“ – „დორტმუნდი“, „ჩელსი“ – „პორტუ“.

ევროპა ლიგა

„გრანადა“ – „მანჩესტერი“, „დინამო“ (ზაგრები) – „ვილიარეალი“, „არსენალი“ – „სლავია“, „რომა“ – „აიაქსი“.

ARDAVIWYEBA

მუდამ ღიმილიანი კეთილი მეგობარი

ჩვენი რუსლან რუსია 70 წლისაა!

უნივერსიტეტახალდამთავრებული მიიღეს რესპუბლიკის პირველ გაზეთში კორესპონდენტად. ვისაც საბჭოეთისდროინდელი ჟურნალისტიკა ახსოვს, კარგად მოეხსენება, რომ ეს მართლაც დიდი დაფასება იყო.

ამას შემდგომში ყოველთვის სიამაყით იხსენებდა და სამართლიანადაც. პროფესიულ სარბიელზე კი ყველაზე დიდი სიხარული პირველი სტატია იყო, რომელიც მცირეტირაჟიან გაზეთში გამოქვეყნდა სტუდენტობის დროს. სწორედ მაშინდელი დაუწერელი წესი იყო — ჩათვლას მიიღებდი, რამდენიმე წერილს თუ გამოაქვეყნებდი. ეს პროფესიულ დაოსტატებასა და შრომის ნაყოფიერებას უწყობდა ხელს.

შემდეგ...

შემდეგ სპეციალური კორესპონდენტობა იმავე გაზეთში, რომელსაც იმ დროს „კომუნისტი“ ერქვა და საქართველოში ყველას ჰქონდა გამოწერილი. ჩვენი პროფესიის მართლაც რთული გზა — ზოგჯერ დავალებით, ზოგჯერ საკუთარი სურვილით, ზოგჯერ პოლიტიკური მოტივაციით წერა, უმეტეს შემთხვევაში გამარჯვება, ხშირად გულდაწყვეტა, მაგრამ მაინც ერთხელ არჩეული გზიდან არგადახვევა და მოვლენების მიუკერძოებლად შეფასება. ყველაზე დაბალი საფეხურიდან მიიწევდა წინ, სანამ დამოუკიდებელი საქართველოს იმავე პირველი გაზეთის, უკვე ძველსახელდაბრუნებული „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი არ გახდა.

მიუხედავად დიდი პასუხისმგებლობისა, პოლიტიკურ ლაბირინთებში ლავირებისა და კომპრომისების ძებნისა, არასოდეს დაუკარგავს ის უპირველესი, რასაც ადამიანებთან, ამ შემთხვევაში, მკითხველთან და თანამშრომლებთან, თანამოკალმეებთან ურთიერთობა ჰქვია.

მისი პირველი და უმთავრესი თვისება უბრალოება და იუმორი იყო, ყველაზე მთავარი გზა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა, მათთან გულახდილად საუბრისა, ბევრის გაჭირვების გაზიარებისა, ბევრისთვის სიხარულის ჩუქებისა, გვერდში დგომისა. ეს ყოველივე მისი ოჯახიდან მოდიოდა — დიდი, თბილი და პატიოსანი ადამიანების გარემოცვიდან, თავისი მშობლიური ოდაბადედან მოდიოდა — ძირძველი კოლხეთის ლამაზი კუთხის განაპირა სამეგრელოს, აბაშის რაიონიდან.

ხუმრობით იტყოდა — აბაშელები იმერეთი-სამეგრელო-გურიის საზღვრიდან ვართ, იუმორი, მოხერხება, ზრდილობა, ამპარტავნობა, ნიჭი და ზრდილობა რომ ერთმანეთშია არეული, იქიდანო.

მუდამ ღიმილიანი და ხალისიანი გვახსოვდა ჩვენი **რუსლან რუსია**, რედაქტორი, მეგობარი, თანამშრომელი, კაცი, ერთგულიცა და გამტანიც, პრინციპულიცა და ბევრჯერ დამთმობიც, ძალზე თბილიცა და მკაცრიც, მაგრამ პატიება ყოველთვის შეეძლო. სახალხოდაც და განმარტოებითაც შეეძლო ბოდიში მოეხადა სულ უბრალო გაფიცხების გამოც, შემდეგ ამ უბრალო გაფიცხებას ისე ლამაზი, თბილი, სიყვარულით შეფუთავდა, გაოცებულიც რჩებოდი.

იუმორიც ვახსენეთ, რუსლანისებური, ღიმილიანი სახით რომ იტყოდა და დამთავრებამდე ხალისით გავსებდა. თვითკრიტიკაც უყვარდა — **ჩემი ბრალია, მოუკვდეს პატრონიო!** — იტყოდა. ეს იყო მისი ბილწსიტყვაობის უმაღლესი დონე. „ერთხელ ჟურნალისტიკაში ახალფეხგადგმული სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში გამაგზავნეს წერილის დასაწერადო. მოგეხსენებათ, პირველი გაზეთის კორესპონდენტი რომ ჩადის, მთელი რაიონი დიდიან-პატარიანად ფეხზე დგებაო და მეც სადგურში რაიკომის მდივნის მძღოლი დამხვდა, სამთავრობო მანქანაზე მიწოლილი არხეინად, რომ ატრიალებდა თითზე გასაღებების აცმასო. უცხო კაცი მიცნო, თან ვერ მიცნო, მაგრამ მეგრულად რომ ვკითხე, ვის ელოდები-მეთქი, იფიქრა, ეს არ იქნება ჟურნალისტი, ალბათ, ვინმესთან ჩამოსული სტუმარია და მეგრულადვე მიპასუხა — რა ვიცი, ძმაო, ვიღაც რუსი ჩამოდის შემოწმებაზე, მაგის დედაც ვატირე და შეშინებულებმა დასახვედრად გამომაგზავნესო. რომ ავუხსენი რუსი კი არ ვიყავი, არამედ გვარი მქონდა რუსია, სირცხვილით კინაღამ მოკვდა საწყალი, მთელი გზა გულით საყვარელ ხალხს მაფიცებდა, არ წამოგცდეს უფროსო... ხშირად იხსენებდა და გულიანად გვაცინებდა, თან ისეთი მეგრული კილოთი ყვებოდა, რამდენჯერაც არ უნდა გაეხსენებინა, მაინც სიცილით ვიხოცებოდით. ასეთი ფასი ჰქონდათ ჟურნალისტებსო.

ამ ამბავს უფრო ხშირად მაშინ იხსენებდა, როდესაც ათობით ჟურნალ-გაზეთის ჟურნალისტები ერთ ღამეში ქუჩაში აღმოვჩნდით ერთი „პარანოიკი“ პრეზიდენტის ხუშტურების გამო. მიუხედავად ამისა, მეორე დღეს გაზეთი მაინც გამოვიდა, საკუთარი ოთახების და გამომცემლობის ნაცვლად ვერის ბაღში მომზადებული გაზეთი, გვერდების იმავე რაოდენობითა და იმავე ტირაჟით. ამის შემდეგ დაიწყო ბოშათა ბანაკივით ჩვენი ნაქირავები ბინის ოდისეა თბილისის თითქმის ყველა უბანში. „ახლა ვინღა აფასებს ჟურნალისტობას და ჟურნალისტებს, როდესაც თავად მთავრობასაც არა აქვს არცერთი გაზეთი გამოწერილიო“, — დარდიანად იტყოდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჩვენს პროფესიაში ყველანაირი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი, მართლაც პროფესიონალი.

მუდამ ღიმილიანი დიდ სევდასაც ატარებდა, სხვისთვის დაუნახავს, ალბათ თავისთვის შენახულს, რომლის გამჟღავნებაც არ სურდა, სანამ ამ სატკივარმა თავად არ იჩინა თავი, სანამ უკურნებელმა სენმა ნელ-ნელა არ გააქრო ღიმილი ამ ულამაზესი კაცის სახიდან, საფიქრალი მოუმატა — გზაზე დასაყენებელი ქალ-ვაჟი, ოჯახი, საახლობლო. ერთხელ წამოსცდა, კიდევ კარგი, დედაჩემი ვერ ხედავს ჩემს ავადმყოფობასო. სულ ორიოდე წლის გარდაცვლილი ჰყავდა მოხუცი დედა, სამი ვაჟკაცის გამზრდელი, მართლაც ოთარაანთ ქვრივივით შემართული ქალბატონი, ჩარკვიანის ქალი. უყვარდა თქმა — სვანური სისხლი რომ მირევია, ალბათ, იმიტომაც იჩენს ჩემში თავს სიმკაცრეო.

მეხუთე წელია, არადა, რა უცებ გასულა დრო, ღიმილიანი სახით რომ აღარ შემოდის რედაქციაში, მუდამ მოწესრიგებული, სუფთა თავისი სულივით, ღიმილიანი მოსალმებით, მეხუთე წელია, ურუსლანოდ მიდის რედაქციის ცხოვრება, მაგრამ მასზე ყოველდღიური მოგონებებით.

მეხუთე წელია და... ჩვენი მეგობარი, გაზეთის მართლაც სული და გული, დიდი პროფესიონალი რუსლან რუსია 70 წლისაც გახდა, რა მოკლეა წუთისოფელი, მოკლე, მაგრამ რუსლანისნაირი ადამიანებისთვის შინაარსიანი და ბევრისდამტევი.

დაბადების საიუბილეო წელს და ქართული ჟურნალისტიკის დღეს გილოცავთ, ჩვენო ძმაო!

„საქართველოს რესპუბლიკის“ სახელით
მამუკა ვაშაკიძე

დააკავეს მამის მკვლელობის ბრალდებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული რ.ა. დააკავეს. მას ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, მშობლების საცხოვრებელ სახლში, ოჯახური კონფლიქტის დროს, მამას — 1960 წელს დაბადებულ ა.ფ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით, რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ტრაქტორით თანასოფლელი იმსხვერპლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ი.მ. დააკავეს. მას ბრალი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში ედება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 18 მარტს, ღამით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთში ტრაქტორით შეეჯახა ქვეითად მოსიარულე თანასოფლელს — 1965 წელს დაბადებულ ნ.პ. რის შემდგომაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ნ.პ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

...ბებიას 4 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეეფარდა

მოსწავლეების მუხლებზე დაჩოქებისა და თანაკლასელებისთვის ბოდიშის იძულებით მოხდის ფაქტზე, მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და არასრულწლოვნების საქმეზე ბრალდებულ ბებიას 4 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა. მორიგი სასამართლო პროცესი 14 მაისს ჩაინიშნა.

საქმე ეხება, შარშან 4 ნოემბერს რეგიონის ერთ-ერთი სკოლის ეზოში არასრულწლოვნების მიმართა განხორციელებულ ქმედებას. გამოძიებით დადგინდა, რომ სკოლის მოსწავლეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის გამო, მე-6 კლასის მოსწავლეებმა ვ.ა.-მ და გ.მ-მ თანაკლასელს, მ.კ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ასევე აიძულეს, დაეჩოქა და თანაკლასელებისთვის ბოდიში მოეხადა. აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდა მ.კ-ს ოჯახის წევრებისთვის, რის გამოც 8 ნოემბერს, მ.კ-ს ბებიამ, ვ.კ.-მ, ანალოგიური მეთოდით, მათი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით დააჩოქა მუხლებზე არასრულწლოვანი — ვ.ა. და გ.მ და დაჩოქილებს მისი შვილიშვილისთვის ბოდიში მოახდევინა. აღნიშნული ფაქტის ვიდეოგადაღებას ახდენდა ერთ-ერთი დაჩოქილი ბავშვის მშობელი.

სასჯელი ცხოველთა ჩაგვრისთვის

ავსტრალიაში ცხოველთა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ახალი კანონი მიიღეს, რომლის თანახმადაც მოძალადე პირი $44,000-ით დაჯარიმდება და 1 წელს ციხეში გაატარებს.

აღსანიშნავია, რომ ჯარიმები, წინა კანონებთან შედარებით 8-ჯერ უფრო დიდია. ცხოველთა მიმართ სისასტიკეში ბრალდებულებს მაქსიმუმ $44,000 და 12-თვიანი ციხე ემუქრებათ, ხოლო უფრო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი სისასტიკისთვის კი ჯარიმა შესაძლოა $110,000-მდე ავიდეს და ასევე ციხეში გასატარებელი დრო 2 წლამდე გაიზარდოს.

UniLad-ის ცნობით, ის ადამიანები, ვინც საკუთარ ცხოველს სათანადო საკვებით, ან თავშესაფრით არ უზრუნველყოფს, შეესაძლოა $16,500-ით დაჯარიმდნენ, ხოლო ციხეში კი 8 თვე გაატარონ.

მედლის ტოლფასი

არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ ალ აინში გამართულ პარამსროლელთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში წარმატებით გამოვიდა ქართველი პარასპორტსმენი ლადო ჭინჭარაული. მან საკვალიფიკაციო ეტაპი მოიგო, ფინალში გამოსვლა კი მეოთხე ადგილზე დაასრულა.

ჭინჭარაულმა 50-მეტრიან დისტანციაზე შაშხანიდან სროლაში იასპარეზა და საკვალიფიკაციო ეტაპზე საუკეთესო შედეგი — 622.9 ქულა დააგროვა (104.5; 104,2; 104,6; 102,9; 102,9; 103,8). მან გაუსწრო პარალიმპიადის ორგზის უკრაინელ ჩემპიონ ვასილ კოვალჩუკსა (619,7) და იტალიელ რობერტო ლაზაროს (614,8).

ფინალში ჭინჭარაულმა 203,6 ქულით დაასრულა გამოსვლა. ჩემპიონი 248,8 ქულით მასპინძელი აბდულა ალაჰბაბი გახდა, რომელმაც ოქროს მედალი ბოლო სერიაში გამოგლიჯა ხელიდან კოვალჩუკს (148,0), რითაც, შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის გუნდს მესამე „ოქრო“ წაართვა (მათ პირველ დღეს ორი ოქროს მედალი მოიპოვეს). მესამე ადგილზე 225,7 ქულით ლაზარო გავიდა.

სოციალური ქსელი „INSTAGRAM“ ბავშვებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება



დღემდე სოციალური **ქსელების მოხმარება ოფიციალურად 13 წლამდე ბავშვებისთვის შეზღუდული გახლდათ.** თუმცა ხშირად პატარებს თავად მშობლების ნაწილი უქმნიდა ყალბ „ექაუნთებს“ და ბავშვებს ყოველგვარი ფილტრის გარეშე შეეძლოთ ინფორმაციის მიღება.

„Facebook“-ის სოციალური ქსელების ხელმძღვანელი ადამ მესერი აცხადებს, რომ კომპანია აქტიურად მუშაობს, „Facebook“-ის სპეციალურ საბავშვო ვერსიაზე. მისი საშუალებით ბავშვებს შეეძლებათ თანატოლებთან კონტაქტი და თანაც დაცულები იქნებიან იმ დიდი ნეგატივისგან, რომლებიც სოციალურ ქსელებში უკონტროლოდ მოიპოვება.

კოვიდ-19 ხანდაზმულებს ორმაგად უტევს!

ბოლო კვლევების მიხედვით, რომელიც კოვიდის ინფექციის შესახებ ჩატარდა, გაირკვა, რომ მისი ხელმეორედ გადატანის რისკი იმაზე მაღალია, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ.

დანიელმა მეცნიერებმა ახალი დასკვნები წარადგინეს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ვირუსის ხელმეორედ გადატანის რისკი საკმაოდ მაღალია. მაგალითისთვის, თუ ახალგაზრდებში განმეორების მაჩვენებელი 80 პროცენტს შეადგენს, ხანდაზმულებში ეს რიცხვი 47 პროცენტს აღწევს. ასე რომ 65 წელს გადაცილებულ ადამიანებსაც მეტი სიფრთხილე მართებს. მართალია, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია ყველას აქტიურად მოუწოდებს ვაქცინაციისკენ, მაგრამ აქაც ბოლომდე წელში გამართული არ გახლავთ ეს სფერო, რადგანაც უკვე არაერთი ფატალური შედეგის მომსწრე გავხდით. ნიღბის ტარება და დისტანცია ჯერჯერობით მაინც ყველაზე აქტიურ თავდაცვად რჩება.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ჯიხვი მომრავლდა



ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, 2020 წლის აღრიცხვის მიხედვით, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის რაოდენობა 690-ს აღწევს, რაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებისა და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლების თავდაუზოგავი და აქტიური საქმიანობის შედეგია, — ამის შესახებ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ჯიხვის პოპულაციის აღრიცხვა 2 ეტაპს მოიცავს. მაის-ივნისში ჯიხვების შობადობა, ე.წ „ჯიხვების დოლი“ იწყება, როდესაც ახალდაბადებული ინდივიდების რიცხოვნების დადგენა ხდება. ნოემბრისა და დეკემბრის თვეები კი ჯიხვების გამრავლების პერიოდია, ისინი ჯგუფებად იკრიბებიან და საუკეთესო დროა მათი რაოდენობის დასათვლელად. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ჯიხვისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს წარმოადგენს, ამიტომ სააგენტო მთელი წლის განმავლობაში აკვირდება მათ რიცხოვნობას ფოტოხაფანგების, რეინჯერებისა და შესაბამისი აღრიცხვის მეთოდების მეშვეობით.

ოსკარის ცერემონიალი ონლაინ აღარ ჩატარდება

მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო, აქამდე ანონსდებოდა, რომ „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიალი „Zoom“-ის ფორმატში, ონლაინ ჩატარდებოდა. თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ მკაცრი რეგულაციების დაცვით მსოფლიოს კინოს ვარსკვლავები კვლავ დარბაზში შეიკრიბებიან.

ცერემონია 25 აპრილს გაიმართება და წელს მას ორი ლოკაცია ექნება — „Dolby“-ს თეატრი ჰოლივუდში და ლოს-ანჟელესის სარკინიგზო ვაგზლის „Union station“-ს ეზო.

მონაწილეები და მოწვეული სტუმრები კორონას სწრაფ-ტესტს გაიკეთებენ, გამარჯვებულები სამადლობელი სიტყვის დროშიც შეზღუდულები იქნებიან. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ონლაინ ცერემონიალის ჩატარებისა ის გახლავთ, რომ ასეთ ფორმატით მიმდინარე ღონისძიებას ძალიან ცოტა მაყურებელი ჰყავს. აქამდე ჩატარებულ „ოქროს გლობუსის“ და „გრემის“ დაჯილდოების ცერემონილებმა, წელს ტელეაუდიტორიის სიმცირით ანტირეკორდი დაამყარეს, რაც პირდაპირ კავშირშია ონლაინ ტრანსლაციასთან.

მსოფლიოში ტყუპების ბუმია

მასშტაბურმა კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო 40 წლის განმავლობაში, მსოფლიოში ტყუპების დაბადების ტემპი 30%-ით გაიზარდა.

კვლევაში 165 ქვეყანა მონაწილეობდა. კვლევის შედეგები 2010-2015 წლების მაჩვენებლებს ეყრდნობა. 1980 წლის მონაცემებთან შედარებით, ამ წლებში 1/3-ით მეტი ტყუპი დაიბადა. კერძოდ, ყოველ დაბადებულ 42 ბავშვზე ერთი ტყუპი მოდის.

„ტყუპების ბუმი“ მკვლევრებმა თითქმის ყველა ქვეყანაში დადასტურდა. გამონაკლისია სამხრეთ ამერიკა, სადაც მოცემულ პერიოდში ტყუპების დაბადების კლების მაჩვენებელია. ამასთან ტყუპის დაბადების წილმა აზიასა და აფრიკაში 80% შეადგინა. კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელის კრისტიან მონდენის თქმით, აფრიკაში ტყუპების დაბადების მაჩვენებლის ზრდა განსხვავებულ გენეტიკას უკავშირდება. ამ რეგიონში უფრო მეტი დიზიგოტური (არაინდეტური) ტყუპი დაიბადა. თავის მხრივ, კრისტიან მონდენის კოლეგა, ჟილ პიზონი გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ყველაზე მეტი ტყუპი მომავალში იმ ქვეყნებში დაიბადება, სადაც ცხოვრების მაღალი დონეა.

ორმოებში გაშენებული ვენახები

ბოლო დღეების განმავლობაში, ინტერნეტსივრცეში აქტუალურია კანარის კუნძულებზე გაშენებული ვენახების ფოტოები, რომელზეც ჩანს, თუ როგორ ზრდიან ვაზის ნერგებს ვეებერთელა ორმოებში.



ლანსაროტის კუნძული, სადაც 300-ზე მეტი ვულკანია, ზედაპირის უდიდესი ნაწილი ვულკანური ფერფლითაა დაფარული. აქ ნერგებს სპეციალურად გათხრილ, რამდენიმე მეტრის სიგანის ორმოებში რგავენ. ამის მიზეზი ნალექის მცირე რაოდენობა და სარწყავი სისტემების არარსებობაა. შესაბამისად, ამ გზით ცდილობენ, ნამით შექმნილი ტენის შენარჩუნებასა და მცენარისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას.

მოამზადეს
რუსუდან ქობულიამ და კახა ქორიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3326; ევრო - 4.640;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6289;
100 რუბლი - 4.5170; თურქული ლირა - 0.4595;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9584;
1000 სომხური დრამი - 6.3190.

ამინდი 22 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge